პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

მეოთხე წელიწადი

კომუნისტი

ს. კ. პ.
ცენტრალურ და ტფილისის
კომიტეტის
და სრ. საქ. მ., გ., წ. არ. და მატრ.
დეპ. საბ.
ცაკის ორგანო

რედაქცია
ტფილისი, რუსთაველის პროსპექტი № 24, მეორე სართული

რედაქციაში საქმისთვის მოლაპარაკება შეიძლება ყოველდღე გარდა კვირა-უქმე დღეებისა 2-დან 3 საათამდე.
ტელეფონ. ნომრები: რედაქტორის 14—76, მდივანის 16—58.

მთავარი კანტორა
ტფილისი, რუსთაველის პრ. № 24
ტელეფონი 10—49.

წლის მოწერის თვიური ფასი: ქალაქში—1 მან. 50 კ. ქალაქს გარეშე მცხოვრებთათვის—1 მან. 60 კ. კოლექტ. ხელის მოწ. 1 მან. 20 კ. განცხადება 20 კ. ჩერვონცებით ნომპარელის სტრიქონი. სამგლოვიარო განცხადება 5 მან. ჩარჩ. განცხადებები მორიგ ნომერში მიიღება მხოლოდ ორ საათ.

დღიური

— მთელ საბჭოთა ფედერაციაში მუშები განაგრძობენ კოპარტიაში შესვლას.

— მოსკოვში ხმარებაში უკვე შემოვიდა [illegible].

— ბულგარეთის მუშათა პარტიამ წინადადება მისცა სოციალ დემოკრატებს და გლეხთა პარტიას [illegible] ფრონტის შესაქმნელად.

— მიუხედავად სამხედრო წესებისა, მუშათა მოძრაობა ბესარაბიაში ფართე ხასიათს ღებულობს; ბოლო დროს მოხდა მთელი რიგი გაფიცვების.

— ჰამბურგში (გერმანია) სამსახურიდან დაითხოვეს 20 ათასი მუშა.

№ 49 (904) პარასკევი, 29 თებერვალი 1924 წ. ყოველდღიური გაზეთი ფასი 6 კაპ. ჩერვონცებით. № 49 (904)

გაზ. „კომუნისტზე“
ხელისმოწერის ფასების შემცირება

რათა გავუადვილოთ მუშებს, მოსამსახურეებს, წითელარმიელებსა და მოსწავლე ახალგაზრდობას ხელისმოწერა ჩვენს გაზეთზე, „კომუნისტი“-ს რედაქცია აწესებს პირველი მარტიდან შემდეგ ფასებს:

პროფკავშირების წევრებისა, წ.-არმიელებისა და მოსწავლე ახალგაზრდობისათვის

გაზეთი ეღირება ჩერვონეცის ანგარიშით:

ერთი თვით	ტფილისში	90 კაპ.	სამი თვით	ტფილისში	2 მან. 60 კაპ.
	პროვინციაში	1 მანეთი		პროვინციაში	2 მან. 90 კაპ.
ორი თვით	ტფილისში	1 მან. 75 კაპ.	ექვსი თვით	ტფილისში	5 მან. 20 კაპ.
	პროვინციაში	1 მან. 95 კაპ.		პროვინციაში	5 მან. 90 კაპ.

ზემოხსენებული კატეგორიის ხელისმომწერლებს, რომლებმაც დღემდე განაახლეს ხელისმოწერა ძველი ფასების მიხედვით, განსხვავება ძველსა და ზემოაღნიშნულ ახალ ფასებს შორის ჩაეთვლებათ მომავალ ხელისმოწერაში.

ყველა დანარჩენებისათვის რჩება ძველი ფასები

ერთი თვით—1 მან. 50 კ. ორი თვით—3 მან. 3 თვით—4 მან. 50 კაპ. 4 თვით—6 მან. 5 თვით—7 მან. 50 კაპ. 6 თვით—8 მან. 50 კაპ. (პროვინციის ხელისმომწერლებმა ხვედრი ფულის გარდა უნდა შემოიტანონ 10 კაპ. თვიურად გაზეთის გადასაგზავნი ხარჯების დასაფარავად).

ყველა ხელისმომწერლები, გარდა დაპირებული პრემიებისა, მიიღებენ უფასოთ მარტის განმავლობაში საქართველოს სახალხო კომისართა საბჭოს შემადგენლობის სურათს კარგ ქაღალდზე. 0—1

საქართველოს კომპარტიის ტფილისის კომიტეტი
წინადადებას აძლევს რაიკომებს და უჯრედებს
დღეს, 29 თებერვალს,
ერთიან პარტიულ დღეს
საკითხები წამოაყენონ თვით რაიკომებმა და უჯრედებმა.
ტფილისის კომიტეტის მდივანი **რუბინი.**

ტფილისის საბჭოს პრეზიდიუმი

ამით აცხადებს, რომ ორშაბათს ა.—წ. 3 მარტს საღამოს 6 საათზე ნაძალადევში, პლეხანოვის სახელობის თეატრში

დანიშნულია ტფილისის საბჭოს მორიგი სხდომა:

დღის წესრიგი:
1) მოხსენება ზაჰესკომის შესახებ.
2) მოხსენება კომუნალური წარმოებების მდგომარეობის შესახებ.
3) მიმდინარე საკითხები.

დასწრება ყველა წევრთათვის სავალდებულოა.
921—2—1 ნის. **პრეზიდიუმი.**

სახალხო სიმდიდრეს უნდა მოვუაროთ

ჩვენი სახელმწიფოს უშუალო მფლობელობასა და გამგებლობაში, მის ორგანოების ხელში საკმაოდ დიდი ქონებაა თავმოყრილი. მსხვილი მრეწველობა და მისი მოწყობილობა, სატრანსპორტო საშუალებანი, სახალხო მამულები, კურორტები, ნაციონალიზაცია თუ მუნიციპალიზაცია ქმნილი სახლები და მრავალი სხვა შეადგენს მშრომელთა რესპუბლიკის საკუთრებას, რომელსაც განაგებს საბჭოთა ხელისუფლების ესა თუ ის ორგანო.

მთელ ამ ქონებას საერთოდ, თვითეულ მის ნაწილს კერძოდ, ესაჭიროება მზრუნველი ხელი, ფრთხილი მოვლა-პატრონობა. რაც გვაქვს, მას უნდა მოუაროთ რიგიანად, მოვაწყოთ ყოველმხრივ, გავაუმჯობესოთ.

ეს ანბანური ჭეშმარიტებაა, რომლის განმეორება თითქო არ ღირს. მაგრამ მაგარიც ის არის, რომ სინამდვილეში ჩვენ ხშირად ვხვდებით დამაფიქრებელ მოვლენებს, ისეთ ფაქტებს, რომლებიც მოწმობენ, რომ აქა იქ სახელმწიფო და სახალხო ქონებას აკლია საჭირო მოვლა-პატრონობა, და ის ფუჭდება, ნადგურდება.

მოვიყვანთ ერთ მაგალითს. ქალაქ ტფილისის ფარგლებში შენობების რაოდენობა აღემატება 12,000-ს, აქედან ქალაქის ალმასკომის საკუთრებას შეადგენს მუნიციპალიზაცია მოხდენილი 550—600 შენობა, ე. ი. ქალაქის მთელი შენობების ხუთი პროც.

ა. წ. იანვრის განმავლობაში ხანძარის შემთხვევა ყოფილა ტფილისში 38. აქედან—ცეცხლი გაჩენია ალმასკომის შენობებს—21-ს, ანუ 56,6 პროც., კერძო პირებისას—17-ს, ანუ 43,4 პროც.

მაშასადამე იანვრის განმავლობაში ქალაქის ყოველ 28,5 სახლიდან ხანძარი გაჩენია ერთს, ხოლო კერძო მესაკუთრეებისას 706 სახლიდან ერთს, ე. ი. ქალაქის სახლებში ხანძარი 25 ჯერ მეტი ყოფილა, ვინემ კერძოსაში.

მთავარი მიზეზი ცეცხლის გაჩენის ყოფილა საკვამლე მილის გაუწმენდლობა და ღუმელების გაუსწორებლობა, — 38-დან 28 შემთხვევა.

ეს ცნობები უტყუარია. გუშინ ჩვენს გაზეთში ამაზე სპეციალური ინფორმაციაც იყო მოთავსებული.

ჩვენ ეს ცნობა მოვიყვანეთ, როგორც ერთ-ერთი თვალმჭრელი ნიმუში იმის, თუ როგორ პატრონობენ სახალხო ქონებას ზოგიერთი პირები, რომელთაც ეს დაკისრებული აქვთ საბჭოთა ხელისუფლებისაგან.

და განა ეს გამონაკლისი შემთხვევაა! შეიძლება ითქვას, რომ მრავალ სხვა დარგებში აქვს ადგილი სახალხო ქონებისადმი ასეთ დაუდევარ და დანაშაულებრივ მოპყრობას.

იქნება ეს განზრახული ბოროტმოქმედება, თუ დანაშაულებრივი დაუდევრობა და უმოქმედობა, ჩვენ სასტიკი ბრძოლა უნდა ვაწარმოოთ ამის წინააღმდეგ და მივიღოთ გადამჭრელი ზომები სახელმწიფო ქონების დასაცავად გაფუჭება-განადგურებისაგან.

პირველ რიგში ჩვენ უნდა მოვახდინოთ იმ პირების გადასინჯვა, რომელთაც უშუალოდ აბარიათ სახელმწიფო ქონება. სიმდიდრეს ახლოსაც არ უნდა გავაკაროთ არასაიმედო, საეჭვო ელემენტები და დავაყენოთ მის მცველებად და მომვლელებად მხოლოდ ისეთნი, რომელთა პირადი პატიოსნება საყოველთაოდ დადასტურებულია, რომელნიც გულწრფელად არიან მოწადინებულნი საბჭოთა ხელისუფლების განმტკიცებას და მშრომელთა რესპუბლიკის სამეურნეო აღორძინებას.

ამასთან საჭიროა კანტროლის გაძლიერება. მუშათა და გლეხთა ინსპექციამ, კომუჯრედებმა, ადგილკომებმა, სხვა სათანადო ორგანიზაციებმა და ყოველმა პატიოსანმა მოქალაქემ ფხიზელი თვალყური უნდა დაიჭირონ, რათა სახელმწიფო სიმდიდრე, სახალხო ქონება შესაფერისად იყოს დაცული და მოვლილი.

ჩვენ ისედაც ღარიბნი ვართ, რომ თუ გინდ ერთი წუთით მოვითმინოთ ისეთი მდგომარეობა, როცა დაუდევრობით, მოუვლელობით, ხან შეიძლება ბოროტი განზრახვითაც ფუჭდება და ნიავდება ის, რაც გაგვაჩნია.

ასეთ მოვლენებს ერთხელ და სამუდამოთ უნდა მოეღოს ბოლო.

გლეხობას ესაჭიროება სესხი მეურნეობის აღსადგენად

მეურნეობის აღდგენა-გაჯანსაღების საკითხი დღიურ ამოცანათ სდგას საბჭოთა ხელისუფლების წინაშე. მისი გადაჭრაც მოითხოვს დაუყოვნებლივ პრაქტიკული ნაბიჯების გადადგმას.

ხშირად შევხვდებით გაზეთის და სამეურნეო ჟურნალების ფურცლებზედ იმ აზრს, რომ ჩვენი ქვეყანა სოფლის მეურნეობის, გლეხური ქვეყანაა და საჭიროა მეურნეობაში გაუმჯობესებული კულტურის შემოღებაო, მაგრამ იმაზე, თუ რომელ წყაროს და საშუალებებს უნდა მივმართოთ რათა აღვადგინოთ მეურნეობა—ამაზედ კი ცოტა იწერება.

ეჭვს გარეშეა და უდავოა, რომ ჩვენი ქვეყანა გლეხური მეურნეობის ქვეყანაა. მცხოვრებთა დიდ ნაწილს (85 პროც.-ს) გლეხობა შეადგენს რომელნიც მეურნეობას ეწევა პრიმიტიული სახით და არ აქვს საშუალება შემოიღოს უკეთესი წესები მეურნეობის.

ისმება კითხვა, არის თუ არა ჩვენ მეურნეობაში გაუმჯობესებული კულტურის შემოსაღებათ სათანადო ნიადაგი? შეიძლება თუ არა საქართველოს მეურნეობაში იმ ტეხნიკის ამუშავება, რომელიც დიდი ხანია შემოღებულია ევროპის მეურნეობაში? უნაყოფოთ ხომ არ ჩაივლის ამ მიმართულებით მუშაობა და ენერგიის ხარჯვა?

საქართველოს მეურნეობაში ნაწარმოები ცდები დაბეჯითებით გვარწმუნებენ იმაში, რომ აქ, ჩვენს მხარეში, საკმაოთ მომზადებულია ნიადაგი მეურნეობის გასაუმჯობესებლათ. მთელი რიგი მეურნეობებისა, რომელშიც ასეთი მუშაობა დაიწყო, განსაცვიფრებელ მაგალითს გვაჩვენებენ იმისა, თუ რამდენათ ეზიარა ჩვენი მეურნეობა მეურნეობის გაუმჯობესებული წესით და როგორი დადებითი შედეგები მოგვცა მან. ასეთად შეიძლება ჩაითვალოს ყოფილი საუფლისწულო მამულები, რომელიც მიწათმოქმედების სახალხო კომისარიატის ხელშია და სადაც უკანასკნელი აწარმოებს სათანადო მუშაობას. შემდეგ აღსანიშნავია კოოპერატიულად შეკავშირებულნი ამხანაგობები. ასეთებია მთელი რიგი საზოგადოებებისა: მევენახეთა, მეხილეთა, მეთამბაქოეთა, მეაბრეშუმეთა, მეცხვარეთა და სხვა, რომელთაც ხელმძღვანელობენ კოოპერატიულად გაერთიანებული და ძლიერი ორგანიზაციები.

ეს ყოველივე კარგია. კოოპერატიულ ორგანიზაციებში მოქცეული ამხანაგობები და მათი წევრი გლეხები შედარებით კარგ მდგომარეობაში იმყოფებიან. მაგრამ ისმება კითხვა: რამდენ პროცენტს შეადგენს კოოპერატიულად გაერთიანებული გლეხობა სხვა მცხოვრებლებთან შედარებით? თუ არ ვცდებით სამომხმარებლო კოოპერაცია აერთიანებს 20 პროც. და სასოფლო-სამეურნეო კი 5 პროცენტს საერთოდ მცხოვრებთა. ეს ისეთი უმნიშვნელო პროცენტია, რომ ჩვენს წინ გადაჭრით იბადება კითხვა იმ გლეხებზე, რომელნიც არც კოოპერატიულად არიან შეკავშირებულნი და არც სახსარი აქვთ მეურნეობის გასაძღოლად. მაშ რა ზომები უნდა იქნას მიღებული მათ მიმართ?

აშკარაა, რომ საქართველოს მეურნეობის აღდგენას იმდენი საშუალებები და მუშაობა სჭირდება, რომ საქართველოს მიწათმოქმედების კომისარიატი, მიუხედავად მისი გაასკეცებული ენერგიით მუშაობისა ამ მიმართულებით, ვერ შესძლებს ამას, ვინაიდან საბჭოთა ხელისუფლების დამკვიდრებამდე საქართველოში, შეიძლება გადაუმეტებლად ითქვას, ამ სფეროში არაფერი გაკეთებულა.

ერთად-ერთი ორგანიზაცია, რომელიც უნდა ჩაუდგეს სათავეში ამ საქმეს, როგორც წინეთ ვსწერდით, არის სასოფლო-სამეურნეო საწარმოო კოოპერაცია.

აი რას ვკითხულობთ ჩვენ რუსეთის კომუნისტური პარტიის მე-13 კონფერენციის რეზოლიუციაში ეკონომიური პოლიტიკის მორიგი ამოცანების შესახებ (პრაქტიკული დასკვნები თავი პირველი, ა) სასოფლო მეურნეობის დარგში, პუნქტი 4) სასოფლო მეურნეობის აღდგენისათვის საჭიროა ...„სოფელში სამომხმარებლო, სასოფლო-სამეურნეო და სამრეწველო კოოპერაციის ქსელის გაფართოება, რომელიც წარმოადგენს სასოფლო-სამეურნეო პროდუქტების დამზადებისა და გლეხობისათვის პირველი მოთხოვნილების საგნების მიწოდების ძირითად ორგანოს“.

აქედან აშკარად სჩანს, რომ სოფლის მეურნეობის აღდგენის საქმე სავსებით დამოკიდებულია „კოოპერაციის ქსელის გაფართოებაზე“. მაგრამ ისმება კითხვა, როგორია დღეს გლეხების მატერიალური მდგომარეობა? აქვთ მათ საკუთარი საშუალება მეურნეობის აღსადგენათ თუ არა? ცხადია, რომ არა. ვინაიდან ყველასათვის აშკარაა, რომ დღეს ჩვენი გლეხობა ძლიერ დაღარიბდა, მათი ნაწარმოების ფასი ზღაპრულათ დაეცა და იმყოფებიან სიღარიბეში. აქედან აშკარაა, რომ მარტო კოოპერატიული ორგანიზაციაში გაერთიანება არავითარ საგრძნობ ნაყოფს არ მოუტანს ღარიბ გლეხს, რადგან მას არც იმდენი ნაწარმოები აქვს, რომ გაჰყიდოს და სამაგიეროთ შეიძინოს სხვა საჭმარი საგნები. ამასთანავე ისიც უნდა აღინიშნოს, რომ დღევანდელ პირობებში კოოპერატიული ორგანიზაციათა ცენტრებს იმდენი საშუალება არა აქვთ, რომ საჭირო კრედიტი გაუხსნან გლეხობას. ამას მოწმობს ცეკავშირის საკრედიტო განყოფილების გამგის შ. გოგებაშვილის წერილი, მოთავსებული ცეკავშირის ჟურნალ „კავშირი“-ს № 1-ში. ავტორი ლაპარაკობს, რომ მიუხედავათ ცეკავშირის სიძლიერისა და ორგანიზაციულათ სიდიდისა „მხოლოდ ცეკავშირის მეცადინეობით ძალიან ძნელი იქნება კოოპერატიული კრედიტის სრული განვითარება და მოწესრიგება, თუ არ იქნება ისეთი მძლავრი ძალა, რომელიც განსაკუთრებით იზრუნებს სოფლად კრედიტის განვითარებაზე. წინად სოფლად კოოპერატიული კრედიტის განვითარებისათვის საჭირო თანხებს იძლეოდა სახელმწიფო ბანკი. დღეს კი ჩვენში არც ერთი არსებული ბანკი არ ზრუნავს ამის შესახებ. ამიტომ საჭიროა, რაც შეიძლება ჩქარა მოეწყოს ასეთი ბანკი, რომელიც მიაწოდებს სოფელს კრედიტს“, და სხვ.

არ შეიძლება ამაში არ დავეთანხმოთ შ. გოგებაშვილს. დღეს, ჩვენში, მართლაც არ არსებობს ისეთი ბანკი, რომელიც განსაკუთრებით უნდა ზრუნავდეს სოფლის კრედიტის ფართოთ გასავრცელებლად.

ხოლო საჭიროა თუ არა ეს? ეს ხომ აუცილებელია, ამას ვკითხულობთ ჩვენი პარტიის მეცამეტე კონფერენციის რეზოლიუციაში ეკონომიური პოლიტიკის შესახებ (პრაქტიკული დასკვნები პუნქტი 5) სადაც ნათქვამია: საჭიროა „**სასწრაფო ზომების მიღება სასოფლო-სამეურნეო კრედიტის განვითარებისათვის ცენტრალურ სასოფლო-სამეურნეო ბანკის და დაბალ სამეურნეო ამხანაგობათა საშუალებით, რათა პირველ ყოვლისა, გლეხებს, გლეხთა ამხანაგობებს და კოლექტიურ მეურნეობებს მივაწოდოთ სასოფლო-სამეურნეო მანქანები და იარაღები ხელმისაწვდომ ფასებში გრძელი ვადიანი კრედიტის საფუძველზე**“. რეზოლიუციის ამ პუნქტს კომენტარიები არ სჭირდება, ვინაიდან აქ ცხადზე უცხადესათ არის აღიარებული სოფლის კრედიტის **სასწრაფოთ** მოწესრიგების აუცილებლობა.

მაშ რა პრაქტიკული ნაბიჯი უნდა გადაიდგას?

საჭიროა დაუყოვნებლივ, ჩვენი ხელმძღვანელ ორგანოების მიერ მოწვეული იქნას ამ საკითაში დაინტერესებული ორგანიზაციების წარმომადგენელნი: საქართველოს მიწათმოქმედების კომისარიატის, ცეკავშირის წარმოკავშირის, ცენტროსოიუზის, ა. | კ. კანტორის, სასოფლო-სამეურნეო ბანკი, ამიერ-კავკასიის კოოპერატიული ბანკის და სხ. და საბოლოოდ გადაჭრილ იქნას კითხვა იმ ორგანოს მოსაწყობად, რომელიც აიღებს ხელში სოფლის კრედიტის მოწესრიგების საქმეს და მთელი ენერგიით იმუშავებს მხოლოდ ამ მიმართულებით.

საქმე არ ითმენს. „მაკრატლის“ პრობლემის მოწესრიგების საკითხი მჭიდროთაა დაკავშირებული აღძრულ საკითხთან. გლეხობას მეურნეობის აღსადგენათ სესხი სჭირდება. საბჭოთა მუშურ-გლეხური ხელისუფლებამ უნდა შექმნას სათანადო ორგანიზაცია.

ვლ. ცაგარელი.

გადასახადთა მოწესრიგებისათვის *)

უკანასკნელ დროს გადასახადთა მრავალფეროვნებამ კვლავ იჩინა თავი, თანაც, სამწუხაროთ, ძალიან მახინჯი სახით. გლეხი იხდის ერთიან სასოფლო-სამეურნეო გადასახადს. ეს გადასახადი აუცილებელიც არის და ზომიერიც. ის გლეხს მძიმე ტვირთად აწვება. ის აჩვევს გლეხს რესპუბლიკის აღმშენებლობაში შეუწყვეტელ მონაწილეობას. მეორე მხრივ აქეზებს მას ზედმეტი პროდუქტის შექმნისათვის, როგორც საზოგადო ვალდებულებისათვის. სასოფლო-სამეურნეო გადასახადი პირდაპირი შემოსავლობის კვალობითი გადასახადია. ასეთი გადასახადისაგან არავის განთავისუფლება არ შეიძლება, გარდა უღარიბესი ნაწილისა.

მაგრამ დღეს არსებობს მრავალი სხვა არაპირდაპირი გადასახადები ჩვენს სოფლებში.

თანახმად ა | კ. ფინსახკომის დებულებისა, ადგილობრივ ხელისუფლებას დაბებში და ქალაქებში ნება ეძლევა ბაჟი დაადოს ყოველ პროდუქტს, მსხვილ და წვრილფეხა საქონელს, რომელთაც გლეხი ბაზარზე გასასყიდათ გაიყვანს (წიგნი: „Местные финансы“ изд. Зак. НКФ. 1923 год. стр. 39, 40, 41 и 42). ეს დებულება ამბობს, რომ ბაზარზე შემოტანა და გაყიდვის უფლება ეძლევა დაინტერესებულთ მხოლოდ მის შემდეგ, რაც ისინი გადიხდიან ბაჟს და მიიღებენ სათანადო ნებართვის ქვითარს. ეს ქვითარი გამოსადეგია მხოლოდ აღნიშნულ დღეს (გვერ. 40 და 41 ამავე წიგნში). აქედან გამოდის შემდეგი უაზრობა: გლეხმა ბაზარზე გაიყვანა ღორი. ჯერ არც კი იცის მან გაყიდის თუ არა, მაგრამ ნებართვა ეხლავე უნდა აიღოს. თანაც გლეხმა არ იცის მის ღორს გადამხდელი კომისია როგორ შეაფასებს და რამდენს გადაახდევინებს. არას ვიტყვი ბაჟის რაოდენობაზე, მხოლოდ საინტერესოა ის დებულება თავისი ფორმით. თუ გლეხმა მაგალ. ღორი ვერ გაყიდა (რაც ხშირად ხდება) და უკანვე წაიყვანა, მას ბაჟს არ დაუბრუნებენ, მხოლოდ თუ მეორედ მოიყვანა ბაზარზე, ბაჟი ხელახლა უნდა გადაიხადოს. ამასთანავე ძალიან უსამართლოა ის გარემოებაც, რომ ბაჟს ახდევინებენ გაყიდვამდის და გლეხმა არც კი იცის ღორს რამდენად გაჰყიდის.

ავიღოთ სხვა საქონელი. მაგ. შეშა. გლეხი ერთ ურემ შეშაზე იხდის ბაჟს სამჯერ. პირველად როცა ტყიდან სახლში მოაქვს; მეორეთ როცა ბაზარზე შეაქვს; მას ახდევინებს დამტებით ბაჟს ტყის მცველი, და მესამედ—ადგილობრივი ალმასკომი—გაყიდვის ნებართვაში. ეს პირდაპირ საზღაპრო საქმეა, მაგრამ ჩვენში რაღაც უყურადღებობის გამო, რეალურად არსებული. აი კიდევ ერთი მაგალითი. გაჭირვებაში ჩავარდნილი გლეხი იძულებული ხდება თავის მრჩენელი ხარი ან ცხენი გაჰყიდოს. ასეთი შემთხვევა საქართველოს გლეხების ცხოვრებაში გამონაკლისს არ შეადგენს. ბაზარში მოყვანის თანავე გლეხმა უნდა გადიხადოს ბაჟი. რა თქმა უნდა ეს ფული გლეხმა სოფელში უნდა ისესხოს, მაგრამ უბედურება ის არის, რომ გლეხმა ბაჟის რაოდენობაც წინდაწინვე არ იცის.

ეხლა შევეხოთ ამ ბაჟებისაგან შემოსულ სარგებლობას. საუბედუროდ ხელთ არა მაქვს მათი რაოდენობის შესახებ ცნობები (ეს ცნობები თვით ალმასკომებსაც არ მოეპოვებათ), მაგრამ გასაგები იქნება მისი მავნეობა თუ მხედველობაში მივიღებთ, რომ ბაზარზე ვაჭრობას მეთვალყურეები სჭირდება. მათი შტატი თუ სამი კაცისაგან შესდგება (ერთი ქვითარის დამრიგებელი, ერთი ფულის მონაგარიშე და შემნახავი, ერთიც ვთქვათ ზედამხედველი, კონტროლიორი), მე ეჭვი მეპარება, რომ ასეთმა შემოსავალმა მათი ჯამაგირებისა და სხვა გაღებულ ხარჯების დაფარვა შესძლოს. (რომ ეს შემოსავალი გასავალს ვერ ფარავს, ამის შესახებ მე მელაპარაკა ბორჩალოს მაზრის ალმასკომის თავმჯდომარე ამხ. **შაბანოვი** და პასუხისმგებელი მდივანი ამხ. **კალატოზოვი**, რომლებმაც აღიარეს, რომ ასეთი ბაჟის აღება მათ გადასცეს იჯარით კერძო პირებს. ეს კიდევ მეტად გასაკვირველია!).

ბაჟის რაოდენობა—რა თქმა უნდა—პროდუქტების ფასს ემატება და ამრიგად ავნებს მუშების ინტერესებსაც.

ასეთი ბაჟების არსებობა ჩვენი გლეხის გულში საკითხს ბადებს: „ძველად ასეთი ბაჟები არ იყო, ეხლა რათ არისო“. ეს უბრალო საკითხი ის თავგია, რომელიც მუშებისა და გლეხების შორის კავშირს ღრღნის და „მაკრატლის“ საკითხს ამწვავებს.

აღნიშნულ თემაზე შორაპნის მაზრის თავმჯდომარის წერილზე ამხ. ერქომაიშვილმა უპასუხა: „ცენტრმა შემოიღო ეს ბაჟები, მაგრამ ადგილებს შეუძლიათ შეამცირონ ან სრულიად გააუქმონო“. ეს ძალიან უხერხული გამართლებაა დიდი შეცდომისა. ჩვენი მაზრები უსახსრობის გამო, მუდამ საშუალების ძებნაში არიან. თანამშრომლებს რამდენიმე თვეობით ხელფასს ვერ აძლევენ. ამავე დროს ცენტრი მათ ეუბნება: „თუმცა ნება დაგრთეთ ამა და ამ წყაროთი სარგებლობისა, მაგრამ შეგიძლიათ უარი განაცხადოთ“-ო. ეს ყოვლად მიუღებელი მსჯელობა არის. როდესაც მაზრის ბიუჯეტი დგება, ფინსახკომის რწმუნებული ყოველივე ამ შემოსავლების წყაროს აღნიშნავს; ხოლო გადახდევინების დროს, ამხ. ერქომაიშვილი მაზრებს ეუბნება: შეგიძლიათ ესა თუ ის ბაჟი არ გადაახდევინოთო.

შემოსავლის გაძლიერებისათვის შეიძლება ჩვენ გავადიდოთ ვაჭრებზე დაკისრებული გადასახადი, ხოლო გლეხს აუტანელი ტვირთი უნდა მოვსხნათ. შეიძლება ბაჟი დაგვედვა: ღვინოზე, არაყზე, სპირტზე და სხვა ასეთ არა პირველ საჭიროების პროდუქტებზე, ხოლო უნდა მოისპოს: შეშაზე, წვრილ და მსხვილფეხა საქონელზე და სხვ. ასეთ ნაწარმოებზე, რომლებსაც გლეხი ბაზარზე ეზიდება თავის ვიწრო-დღიურ მოთხოვნილებათა დასაკმაყოფილებლად.

ჩვენი მაზრების ბიუჯეტიდან ასეთი ბაჟები უნდა ამოიფხიკოს.

ი. ტალახაძე.

მრეწველობის მდგომარეობა და მომავალი მუშაობის მიმართულება

(ჩვენი მოსკოველი კორესპონდენტისაგან)

ამხ. ძერჟინსკის უმაღლეს სამეურნეო საბჭოს თავმჯდომარეს მოვალეობის შედგომას მოჰყვა საბჭოს პრეზიდიუმის რამოდენიმე სხდომა, სადაც გამორკვეული იყო მრეწველობის ახლანდელი მდგომარეობა და დასახული იყო მომავალი მუშაობის მიმართულება.

სამეურნეო საბჭოს სხდომაზე გაკეთებული მოხსენების მიხედვით მრეწველობის მდგომარეობა 23—24 წლის უკანასკნელ კვარტალში შემდეგნაირია: შაქრის და ჩაის წარმოებაში ნაწარმოების გასაღება გამოცოცხლებულია, რაც იძლევა დამაკმაყოფილებელ პერსპექტივებს; ნავთის წარმოება განიცდის კრიზისს შინაური ბაზრის უქონლობის გამო; ასეთივე მდგომარეობაშია დონეცის ქვანახშირის გასაღებაც; რეზინის ტრესტის ნაწარმოების გასაღებაც სუსტათ სწარმოებს, მიუხედავათ იმისა, რომ მან დაუკლო ფასები კალოშებზე,—5,5 მილიონ წყვილ კალოშებიდან, რომელიც დასახულია დასამზადებლათ, შინაურ ბაზარზე გასაღდება მხოლოდ 4 მილიონი. 23—24 წლის საოპერაციო წელი დააგროვებს 8 მილიონ წყვილს, რაც მოითხოვს საგარეო ბაზარზე გატანას. ჯერ-ჯერობით საგარეო ბაზარი რუსეთის კალოშებისათვის არა ხელსაყრელია, ვინაიდან სხვა ქვეყნების ნაწარმოები არაფრით იაფია.

საბამბო-სართავი წარმოების [illegible] მდგომარეობასთან შედარებით მოკეთდა. მოსალოდნელია ამ [illegible] არა თუ შემოკლება, არამედ გა[illegible]ვებაც. ზოგიერთი ტრესტები უკვე შეუდგენ გაფართოების საქმეს. ლითონის მრეწველობაში კარგ მდგომარეობაშია ის დარგები, რომელნიც იმუშავებენ მასიურ საგნებს, რაც უფრო ჩქარა საღდება.

ნაწარმოების ფასების მხრივ იანვარი ხასიათდება ფასების შემცირების შეჩერებით. პირველ დეკემბრამდე ფასებმა დაიკლო 13 პროცენტით, დეკემბერში ორით, იანვარში კი მხოლოდ 0,7 პროცენტით. აიწია პურის და წარმოების ნედლ მასალის ფასებმა.

ფინანსიური მხრივ მრეწველობის მდგომარეობა მძიმეა და არ ეტყობა გაუმჯობესება გასულ წელთან შედარებით. პროდუქციის რეალიზაცია ხდება უმთავრესად კრედიტის სახით (ნისიათ). ეს ოპერაცია შეადგენს მთელი გასაღების 75 პროცენტს. ახლო მომავალში საჭიროა მრეწველობის დახმარება საბანკო კრედიტით.

ამ მოხსენების გამო ამხ. ძერჟინსკიმ გამოსთქვა აზრი, რომ მრეწველობის ყურადღება უნდა მიიქცეს მიმდინარე დროისთვის ფულის რეფორმის, საბითუმო და სანაჭრო ფასების დაახლოვების და რეალური ხელფასის შენარჩუნების საკითხებმა. მისი დასკვნით ნაწარმოების საბითუმო ფასების დაკლება და პურის ფასების გაძვირება სარგებლობას მისცემს მხოლოდ კერძო შუამავალს და არა მუშასა და გლეხს. ამიტომ საჭიროა სანაჭრო ფასების დაკლება და პურის ფასების შემდეგი ზრდის შეჩერება. სანაჭრო ფასების შემცირებაში არ არის საკმარისი მარტო ადმინისტრატიული ზომები, საჭიროა ეკონომიური ზომებიც. სინდიკატები უნდა დატოვებული იქნენ, მაგრამ მათი რკალი უნდა შეიცვალოს იმ მხრივ, რომ ისინი უნდა იყვნენ ფასების საკითხების მომწესრიგებელნი, განსაკუთრებით სანაჭრო ფასების. ისინი უნდა ერეოდენ ვაჭრობის ოპერაციებში და ყოველგვარ ზომებს ღებულობდენ ნაწარმოების ფასების შემცირებისთვის, ამასთანავე სინდიკატების მუშაობა უნდა მოეწყოს ისე, რომ ადგილი არ ექნეს მათ ბიუროკრატიულ ორგანოებათ გადაქცევას.

ლან—ძე

მოსკოვი, 18 თებერვალი.

პრესა

საბჭოთა კავშირის ცნობა და მეორე ინტერნაციონალი

საბჭოთა კავშირის იურიდიულ ცნობას ზოგიერთ დიდ და პატარა კაპიტალისტურ სახელმწიფოების მიერ გამოეხმაურა ყვითელი ინტერნაციონალიც; მან გამოააშკარავა თავისი დამოკიდებულება ამ ფაქტისადმი. მე-2 ინტერნაციონალის აღმასკომმა, რომელიც შეიკრიბა ამ ერთი კვირის წინად ლიუქსემბურგში, თავის პლენარულ სხდომაზე გამოიტანა რეზოლიუცია, რომელშიაც „კმაყოფილებით აღნიშნავს საბჭოთა კავშირის ცნობას დე-იურე ინგლისის და იტალიის მიერ“.

ამ „პატივცემულ“ ორგანიზაციას სხვა გამოსავალი არ გააჩნდა მას შემდეგ, რაც ბურჟუაზიული მთავრობები იძულებული გახდნენ გადაედგათ ეს ნაბიჯი. ჩვენ ვიცით, რომ მეორე ინტერნაციონალს ნამდვილად არავითარი მუშაობა არ გაუწევია საბჭოთა რესპუბლიკების დაცვის და მათი ცნობის სასარგებლოდ. ხოლო რაც შეეხება კერძოდ მასში შემავალ რუსეთის ესერებს, ისინი განაფთრებით იბრძოდნენ საბჭოთა კავშირის და მისი ცნობის წინააღმდეგ; არსებითად ასევე მოქმედებდნენ ამ საკითხში აგრეთვე მათი თანამოძმენი, რუსი მენშევიკები.

მეორე ინტერნაციონალის მიერ პოსტ-ფაქტუმ გამოთქმულ „კმაყოფილებას“ არავითარი ღირებულება არა აქვს, ის თავისთავად არავითარ ინტერესს არ წარმოადგენს.

საგულისხმო და საინტერესოა სხვა რამ, სახელდობრ, ის იმედები, რომელნიც აღეძრათ ყვითელი ინტერნაციონალის მესვეურებს საბჭოთა კავშირის ცნობასთან დაკავშირებით, და ის „მოთხოვნები“, რომლებსაც ისინი უყენებენ საბჭოთა მთავრობას, ალბად, თავიანთი „კმაყოფილების“ გამოთქმის „საკომპენსაციოდ“.

ხსენებულ რეზოლიუციაში ვკითხულობთ:

„ინტერნაციონალი იმედოვნებს, რომ ცნობას აუცილებლად მოჰყვება პოლიტიკური რეჟიმის დემოკრატიზაცია ს. ს. რ. კავშირში“

გაზ. „პრავდა“ (№ 43) ეხება ამ დოკუმენტს და განმარტავს მოყვანილ ადგილს:

> „სხვა სიტყვებით, ყვითელი ინტერნაციონალი იმედოვნებს, რომ უცხოეთის კაპიტალის მშვიდობიანი გავლენა იქნება იმდენად ძლიერი, რომ ჩვენი პროლეტარული დიქტატურა გადაიქცევა ბურჟუაზიულ დემოკრატიად.
>
> მაგრამ ეს ხომ მთელი საერთაშორისო ბურჟუაზიის ძირითადი იმედია. წინედ, როცა ის უფრო მძლავრი იყო, მას სწორედ ამ ფასად („დემოკრატიზაციისათვის“) სურდა გაეყიდა იურიდიული ცნობა. მხოლოდ მას ხელები მოკლე აღმოაჩნდა. პროლეტარიატის დიქტატურა განმტკიცდა, და უცხოელი ვაჭრები იძულებული გახდნენ ეცნოთ ის“.

საყურადღებოა „რეზოლიუციის“ სხვა ადგილებიც. რეზოლიუცია „მხარს უჭერს რუს სოციალისტებს, პოლიტიკურ დევნასთან ბრძოლაში... ესალმება რუს სოციალისტებს რომელნიც იტანჯებიან საპყრობილეებში, განდევნის ადგილებში, და ამზადებს ენერგიულ გამოსვლას საყოველთაო ამნისტიის სასარგებლოდ, მოითხოვს არა-კომუნისტურ მუშათა ორგანიზაციების (!!!) დევნის შეწყვეტას“.

მკითხველი მიხვდება, რომ აქ ლაპარაკია მუშათა მასებიდან გარიყულ ესერებზე და მენშევიკებზე, რომელნიც იბრძვიან საბჭოთა ხელისუფლების და მისი ცნობის წინააღმდეგ.

მეორე ინტერნაციონალს უნდა ამ ვაჟბატონებს მიანიჭოს მოქმედების სრული თავისუფლება, რადგან, როგორც ირონიულად დასძენს „პრავდა“:

> „ისინი დაამყნობენ კაპიტალისათვის ასე საყვარელ „დემოკრატიას“, განათლებულ ინგლისის ყაიდაზე“.

ესარჩლება რა მშრომელი ხალხის გაუსწორებელ მტრებს, მეორე ინტერნაციონალი კრინტსაც არა სძრავს იმ კომუნისტებზე, რომელნიც ასობით და ათასობით არიან ჩაყრილნი ბურჟუაზიულ ევროპის ციხეებში; არც ირლანდიის, ინდოეთის და სხვა ჩაგრულ ქვეყნების დაპატიმრებულ და დევნილ რევოლიუციონერებზე; არც ტერორზე გერმანიის კომუნისტური პარტიის წინააღმდეგ.

მაგრამ ეს გასაგებია. „პრავდა“ ამბობს:

> „ეს იქნებოდა მიმართული ბურჟუაზიის წინააღმდეგ. და განა ლაქიები გაბედავენ თავის ბატონზე გალაშქრებას!“

მეორე ინტერნაციონალი, ივიწყებს რა დამონებულ ინდოეთს, ეგვიპტეს, ირლანდიას და სხვა ქვეყნებს, თავის „მოწყალებას“ არ აკლებს საქართველოს. ხსენებული რეზოლიუცია ამბობს: „სოციალ-დემოკრატიული პარტიები ვალდებული არიან... განავითარონ პროპაგანდა საქართველოს განთავისუფლების სასარგებლოდ საბჭოთა ოკუპაციისაგან“.

ისევ ძველებური ზღაპრები ოკუპაციაზე! დღეს ეს არავის სჯერა, თვით რეზოლიუციის ავტორებსაც. მაგრამ ამ ზღაპრის განმეორება მათ დასჭირდათ, რომ ერთხელ კიდევ „უკბინონ“ საბჭოთა ხელისუფლებას, ამასთან გაითამაშონ როლი ერთა დამცველების.

საქართველოს ამ არამკითხე ოკუპანტების გამოქომაგება არ ესაჭიროება. მისი „განთავისუფლება“, როგორც ეს მათ ესმით, იქნებოდა, როგორც სამართლიანად აღნიშნავს „პრავდა“:

> „საქართველოს გაცემა ანტანტის და პირველ რიგში ინგლისის მსხვილ კაპიტალისათვის“.

ჩვენი ქვეყანა შედის საბჭოთა დიდ კავშირში, და თუ უკანასკნელს ვინმე „იცნობს“, ის უნდა იცნოს მთლიანად. ეს ასეც ხდება. გუშინ წინ ჩვენს გაზეთში გამოქვეყნებული იყო ცნობა, რომლის თანახმად მაკდონალდმა პარლამენტში განაცხადა: ინგლისის მთავრობა აღიარებს, რომ საბჭოთა კავშირის ძალა-უფლება ვრცელდება ამიერკავკასიის რესპუბლიკებზეც.

ამგვარად, ჩვენებური კონტრ-რევოლიუციის და მისი დამხმარე მეორე ინტერნაციონალის იმედი საქართველოს საკითხზე საბჭოთა ხელისუფლებისათვის საერთაშორისო მდგომარეობის გართულებისა საბოლოოდ ჩაიფერფლა.

საერთოდ მეორე ინტერნაციონალის ხსენებული დოკუმენტი ააშკარავებს მას და საერთაშორისო ბურჟუაზიის ფარულ ზრახვებს საბჭოთა ხელისუფლების მიმართ—იურიდიული ცნობით და ჩვენს ქვეყნებში უცხოეთის კაპიტალის მშვიდობიანი შემოჭრით თანდათან გარდაქმნან პროლეტარიატის დიქტატურა და საბოლოო ანგარიშით დამარხონ ის.

საბჭოთა ხელისუფლებამ, რა თქმა უნდა, იცის ჩვენი მტრების ასეთი ბოროტი განზრახვა და ის კიდეც ფხიზლად დგას რევოლიუციის მონაპოვართა სადარაჯოზე.

ინგლისის თემთა პალატაში

ვერსალის ხელშეკრულების გარშემო.

ლონდონი, 28 თებ. დღეს თემთა პალატაში მაკდონალდს წარუდგინეს რამდენიმე შეკითხვა ჰენდერსონის მიერ ბერნლიუში წარმოთქმულ სიტყვის გამო ვერსალის ხელშეკრულების გადასინჯვის შესახებ.

მაკდონალდი უპასუხებდა რა შეკითხვაზე დაემყარა ლოიდ-ჯორჯის პასუხს, რომელსაც მან უთხრა, რომ ჰენდერსონის განცხადება არ იყო მიღებული კაბინეტის მიერ და რომ ერთად-ერთი განცხადება, რომლისათვისაც მთავრობა პასუხისმგებელია, არის მაკდონალდის დეკლარაცია, რომელიც მან წარადგინა თემთა პალატაში 12 თებერვალს.

კონსერვატორმა, გარეშე საქმეთა მინისტრის ყოფილმა ამხანაგმა მაკ-ნეილმა სთქვა, რომ ზედმიწევნითი განხილვა ყველაფერ იმისა, რაც მაკდონალდმა სთქვა პრემიერად გახდომის შემდეგ, ამტკიცებს იმას, რომ მაკდონალდი არასოდეს არ შეხებია, ვერსალის ხელშეკრულების გადასინჯვის საკითხს.

ჰენდერსონის სიტყვით გამოწვეული აურზაურის გამო, მაკ-ნეილმა სთხოვა მაკდონალდს უფრო სწორად განსაზღვროს თავისი პოზიცია. მაკდონალდმა გამოსთქვა გაკვირვება იმის გამო, რომ თითქოს 12 თებერვლის დეკლარაციაში იყოს რაიმე გაურკვევლობა და განიმეორა, რომ მთავრობა პასუხისმგებელია მხოლოდ იმისათვის, რაც მან სთქვა და არა იმისათვის, რასაც მას მიაწერენ ან სტრიქონებს შუა ამოიკითხავენ.

კონსერვატორი ონეილი მხარს უჭერდა მაკ-ნეილის წინადადებას და ფიქრობს, რომ მთავრობის პოზიცია ვერსალის ხელშეკრულების საკითხში ეხლავე უნდა იქნეს გამორკვეული თემთა პალატაში.

თემთა პალატამ მიიღო წინადადება, რომელიც შედგენილია ზემოხსენებულ აზრის მიხედვით.

ყველა კონსერვატორები და ლიბერალები მხარს უჭერდენ ამ წინადადებას და კამათი გადაიდო თემთა პალატის საღამოს სხდომისათვის.

---

*) კამათის წესით.

რადიო-დეპეშები

(„ზაკროსტა“-ს ცნობები)

საბჭოთა კავშირის ცნობის შემდეგ

ინგლისი სესხს აძლევს საბჭოთა კავშირს

ინგლისი „უარს ამბობს“ საბჭოთა კავშირის შინაურ საქმეებში ჩარევაზე

საფრანგეთს და სამხრეთ-სლავიას შორის სწარმოებს მოლაპარაკება საბჭოთა კავშირის ცნობის შესახებ

კანადაში ჩავიდა საბჭოთა კავშირის სავაჭრო დელეგაცია.

საბჭოთა კავშირის წარმომადგენლობა ინგლისში ინახულა სომხების დელეგაციამ, რომელმაც განაცხადა, რომ საბჭოთა მთავრობა არის სომხეთის ერთად ერთი მეგობარი და იმედი.

მურმანსკში მივიდა ბრიტანეთის გემი ინგლისისათვის ქვა-ნახშირის წასაღებად.

პოლონეთის ელჩმა ინახულა საგარეო საქმეთა სახალხო კომისარი.

ინგლისი სესხს აძლევს საბჭოთა კავშირს

ნაუენი. 28 თებერვალი. ლონდონის გაზეთები იტყობინებიან, რომ ინგლისი ემზადება სესხის მისაცემად რუსეთისათვის ქვეყნის აღსადგენად.

ფიქრობენ, რომ სესხი გამოყენებული იქნება ნაწილობრივ ინგლისის წარმოებისათვის საჭირო ნივთების შესყიდვისათვის, რაც შეამცირებს უმუშევრობას ინგლისში.

ინგლისი

ქილო შეიცვალეს.

ლონდონი. 26 თებერვალი. ლიბერალმა კენვორტიმ თემთა პალატაში მისცა შეკითხვა საბჭოთა კავშირში ელჩის დანიშვნის შესახებ. მაკდონალდმა უპასუხა, რომ ეს საკითხი გადაწყვეტილი იქნება „სათანადო წესით“.

ლიბერალ ლამბერტის შეკითხვაზე, მაკდონალდმა განაცხადა, რომ იმ პირობით, რომ მიღებული იქნება სათანადო საბუთები და მიცემული იქნება ვალდებულება საბჭოთა მთავრობის მიერ გამომუშავებულ ყველა წესებისათვის დამორჩილების შესახებ, ინგლისის გაზეთების კორესპონდენტებს მიეცემათ მოსკოვში ცხოვრების უფლება. უცხოელთა კორესპონდენციების ცენზურის შესახებ მოსკოვში, ინგლისის მთავრობამ არაფერი იცის.

ერთ-ერთი კონსერვატორი შეკითხა მაკდონალდს, მოითხოვს თუ არა ინგლისის მთავრობა წითელი არმიის გაყვანას ამიერ-კავკასიის რესპუბლიკებიდან, რათა მოსახლეობას მიეცეს თვითგამორკვევის საშუალება. მაკდონალდმა უპასუხა, რომ მას არაფერის დამატება არ შეუძლია სხვა თავის განცხადებებისათვის ამ საკითხზე.

კონსერვატორი, რომელმაც შეიტანა განცხადება, დაბეჯითებით მოითხოვდა გარკვეულ პასუხს, მაგრამ ის შეაჩერა სპიკერმა, რომელმაც განაცხადა: „ჩვენ არ უნდა ჩავერიოთ სხვა ქვეყნების შინაურ საქმეებში“.

ინგლისის საპარლამენტო პრაქტიკაში ამ ტრადიციული ფორმულით არასოდეს არ სარგებლობდნენ ინგლის-საბჭოთა კავშირის მიმართ და ახლა პირველად იხმარეს სხვა სახელმწიფოებთან თანასწორ უფლებით.

ლონდონის სომეხთა საზოგადოების დელეგაცია საბჭოთა კავშირის წარმომადგენელთან.

ლონდონი. 26 თებ. ლონდონის სომეხთა საზოგადოების დელეგაციამ ინახულა საბჭოთა კავშირის სრულუფლებიანი წარმომადგენლის მოადგილე ამხ. ბერზინი და მიულოცა მას ინგლისის მიერ საბჭოთა კავშირის იურიდიულად ცნობა. **დელეგაციამ განაცხადა, რომ საბჭოთა მთავრობა არის სომხეთის ერთად ერთი მეგობარი და იმედი** და სთხოვა სრულუფლებიანი წარმომადგენლის მოადგილეს გადაეცა სალამი საბჭოთა მთავრობისათვის და ამხ. რაკოვსკისათვის.

რუსეთის ქვანახშირი ინგლისისათვის.

მოსკოვი. 28 თებერვალი. **გერმანიის ნავთსადგურში მოვიდა ინგლისის გემი, რომელიც წაიღებს ქვანახშირს ინგლისისათვის.**

იტალია

იტალიამ მიიღო საბჭოთა კავშირის პირობები.

ნაუენი. 28 თებ. იტალია დასთანხმდა რუსეთ-იტალიის კომერციული ხელშეკრულების დამატების მიღებაზე, რასაც მოითხოვდა საბჭოთა მთავრობა.

კანადა

საბჭოთა კავშირის სავაჭრო დელეგაციის ჩამოსვლა.

ნიუ-იორკი. 26 თებ. მონრეალში (კანადა) ჩავიდა საბჭოთა კავშ. სავაჭრო დელეგაცია. დელეგაციის თავმჯდომარე ამხ. იაზიკოვი, რომელიც ავადმყოფობის გამო ლონდონში დარჩა, ახლო ხანში ჩამოვა კანადაში.

საფრანგეთი

სავაჭრო წარმოებათა კავშირი საბჭოთა კავშირთან სავაჭრო ურთიერთობის დასამყარებლად.

პარიზი. 26 თებერვალი. სავაჭრო-სამრეწველო წარმოებათა წარმომადგენლების (რომელთა კაპიტალი 500 მილ. ფრანკს აღემატება) თათბირმა დაადგინა დაარსოს სავაჭრო წარმოებათა კავშირი საბჭოთა კავშირთან სავაჭრო ურთიერთობის დასამყარებლად და ერთხმად დაუჭირა მხარი მოსკოვში მთავრობის მანდატით აღჭურვილ ოფიციალურ დელეგაციის დაუყოვნებლივ გაგზავნას საბჭოთა კავშირთან უშუალო მოლაპარაკების საწარმოებლად.

ეს თათბირი მოიწვია კავკასიის კონსორციუმის წარმომადგენელმა.

პოლონეთი.

პოლონეთის სრულუფლებიანი მინისტრი და საბჭოთა კავშირის გარეშე საქმეთა კომისარი.

მოსკოვი. 28 თებერვალი. პოლონეთის საგანგებო ელჩი და სრულუფლებიანი მინისტრი დაროვსკი დღეს იქნა მიღებული გარეშე საქმეთა სახ. კომისარის ამხ. ჩიჩერინის მიერ. ელჩმა ინახულა აგრეთვე გარეშე საქმეთა სახ. კომისრის მოადგილე ამხ. ლიტვინოვი და კოლეგიის წევრი ამხ. კოპპი.

სამხრეთ-სლავია

მოლაპარაკება საბჭოთა კავშირის ცნობის შესახებ.

ვენა. 26 თებ. ბელგრადის დიპლომატიურ წრების ცნობით, საფრანგეთსა და სამხრეთ სლავიის შორის სწარმოებს მოლაპარაკება საბჭოთა კავშირის ცნობის შესახებ. ახლო მომავალში დაიწყება უშუალო მოლაპარაკება სამხრეთ-სლავიასა და საბჭოთა მთავრობის შორის.

შვეცია.

საბჭოთა კავშირთან სამშვიდობო კონვენციის აუცილებლობა.

სტოკჰოლმი. 26 თებერვალი. კომუნისტურმა ფრაქციამ შეიტანა რიკსტაგში პროექტი დღევანდელი სამხედრო სისტემის გაუქმების შესახებ. პროექტში აღნიშნულია, რომ შვეციას შეუძლია განამტკიცოს თავისი მდგომარეობა საბჭოთა კავშირთან სამშვიდობო ხელშეკრულების დადებით. პროექტი ხაზს უსვამს აგრეთვე საბჭოთა კავშირის მშვიდობიან პოლიტიკას.

სპარსეთი

სპარსეთის რწმუნებული ამხ. ჩიჩერინთან.

მოსკოვი. სპარსეთის რწმუნებულმა გოლამ-რიზა-ხან მოფახერმა ინახულა საგარეო საქმეთა სახალხო კომისარი ამხ. ჩიჩერინი.

იაპონია

რუსეთის გემებს არ უშვებენ ნავთსადგურში.

ვლადივოსტოკი. 28 თებერვალი. რუსეთის ორ გემს „ირმა-ს და „რევოლიუციას“, რომელნიც უნდა შესულიყვნენ იაპონიის ერთ-ერთ ნავთსადგურში ადმინისტრაციამ არ მისცა მასში შესვლის უფლება.

გემ „ლენინს“, რომელიც მრავალი მგზავრებით მივიდა იოკაგამას ნავთსადგურში, არ მისცეს ნაპირზე მიდგომის და მგზავრების გადმოსხმის უფლება.

ცნობის მნიშვნელობა

საუბარი ამხ. ლიტვინოვთან

ავსტრიის მიერ საბჭოთა კავშირის ცნობის მნიშვნელობა.

მოსკოვი. 28 თებერვალი. გარეშე საქმეთა სახ. კომისარის მოადგილემ ამხ. ლიტვინოვმა პრესის თანამშრომლებთან საუბრის დროს განაცხადა, რომ იმ სახელმწიფოებს შორის, რომელთაც განაახლეს საბჭოთა კავშირთან ურთიერთობა, ავსტრიას უჭირავს განსაკუთრებული მდგომარეობა. **ავსტრიის მთავრობამ იცნო საბჭოთა ხელისუფლება ჯერ კიდევ 1918 წელს და სრულიად სამართლიანად გაიზიარა ის თვალსაზრისი, რომ დღეს ლაპარაკი შეიძლება მხოლოდ დიპლომატიურ ურთიერთობის განახლებაზე და არა ხელახლა იურიდიულად ცნობაზე.**

საბჭოთა კავშირის მთავრობა და კავშირის ხალხები გულწრფელი სიმპატიებით ადევნებდნენ თვალყურს ავსტრიის ხალხის ბედ-იღბალს, მის გაასკეცებულ ენერგიას, რომლითაც მან სძლია ძალით თავზე მოხვეულ ძიმე ზავის შედეგები. რომ ავსტრიის მთავრობას ანგარიში არ გაეწია სხვადასხვა გარემოებისათვის, რომლებიც არ იყო დამოკიდებული ავსტრიის ხალხის ნება-სურვილებზე, საბჭოთა კავშირსა და ავსტრიის შორის ნორმალური ურთიერთობა დიდი ხნით ადრე იქნებოდა განახლებული. ეს გარემოება დღესაც არ უნდა იქნას გამოშვებული მხედველობიდან. **ამიტომ ავსტრიის მთავრობის მიერ მიღებულ გადაწყვეტილებას ჩვენს თვალში კიდევ უფრო მეტი მნიშვნელობა ეძლევა.**

ჩვენ ვესალმებით მას. ნორმალურ ურთიერთობის დამყარება იქნება ახალი ფაქტორი ჩვენ ეკონომიურ კავშირის განვითარებისათვის. ბოლოს ამხ. ლიტვინოვმა აღნიშნა ავსტრიის წარმომადგენლის პოლის სახელგანთქმული მოღვაწეობა.

იტალიის მიერ საბჭოთა კავშირის ცნობის გამო.

მოსკოვი. 25 თებერვალი. რუსეთის დეპეშათა სააგენტოს თანამშრომელთან საუბრის დროს ამხ. ლიტვინოვმა უპასუხა შეკითხვაზე, რამდენად მართალია ხმები იმის შესახებ, რომ თითქოს საბჭოთა მთავრობისა და იტალიის შორის დადებულ ხელშეკრულების ხელის მოწერის გამო მდგომარეობა გართულდა. ამხ. ლიტვინოვმა განაცხადა, რომ ეს ხმები სინამდვილეს არ შეეფერება. ხელშეკრულება საბოლოოდ იქნება ხელმოწერილი და დამტკიცებული, როგორც კი ეს შესაძლებელი იქნება.

იტალიასთან მოლაპარაკემა დაიწყო 6 თვის წინად, როცა ევროპის არც ერთი სახელმწიფო არ ფიქრობდა სერიოზულად მიდგომოდა საკითხს საბჭოთა კავშირის სავსებით ცნობის შესახებ. ჩვენ მაშინ დავსთანხმდით მიგვეცა იტალიისათვის სპეციალური შეღავათები სავაჭრო-სანაოსნო ხელშეკრულებაში. თუმცა მას შემდეგ კონიუნქტურა ჩვენდა სასარგებლოთ შეიცვალა, ჩვენ ეს შეღავათები უკან აღარ მიგვაქვს. იტალიასთან ფაქტიური შეთანხმება ქრონოლოგიურად პირველია. **მუსოლინის ოფიციალურმა განცხადებებმა, რომ იტალია მზად არის დაუყოვნებლივ იცნოს საბჭოთა კავშირი, ხელი შეუწყო სხვა სახელმწიფოების მიერ საბჭოთა კავშირის ცნობას.**

ბოლოს ამხ. ლიტვინოვმა გამოსთქვა რწმენა იმაში, რომ სრული ცნობის გზას დაუყოვნებლივ დაადგებიან ყველა სახელმწიფოები და აღარ არსებობს დაბრკოლებები საბჭოთა კავშირის ცნობისათვის.

საზღვაო განიარაღების კონფერენცია

ვერ შეთანხმდენ.

ბერლინი. 27 თებერვალი. რომიდან მიღებული ცნობით, **საზღვაო განიარაღების კონფერენცია დამარცხდა, რადგანაც თავი აჩინა სასტიკმა წინააღმდეგობამ იმპერიალისტურ სახელმწიფოებს შორის.** საფრანგეთმა მოითხოვა თავის საზღვაო ძალების ინგლისის ძალებთან გათანასწორების უფლება. ესპანეთის დელეგატმა დასტოვა კონფერენცია, რადგანაც დამსწრე სახელმწიფოებმა უარი სთქვეს იმაზე, რომ ესპანეთს მისცემოდა სამხედრო ფლოტის 500,000 ტონამდე გადიდების უფლება.

რა ხდება ინგლისში

ნდობის გამოცხადება მაკდონალდის კაბინეტისათვის.

ბერლინი. 28 თებერ. თემთა პალატაში ლიბერალმა ბრიინტმა მოითხოვა უნდობლობის გამოცხადება მაკდონალდის კაბინეტისათვის, რადგან კრედიტები, რომელიც გაღებული იყო გაფიცვის შემდეგ სამუშაოზე ახლად მიღებულთა დასახმარებლად, გადამეტებული იყო. განცხადების შემდეგ, რომ მაკდონალდი მომავალში თავს შეიკავებს კრედიტების გადამეტებისაგან, ლიბერალებმა უარი სთქვეს უნდობლობის ვოტუმზე. მაგრამ მიუხედავად ამისა, კონსერვატორებმა მაინც მოითხოვეს ბრიინტის წინადადებისათვის კენჭის ყრა. 295 ხმის უმრავლესობით 228 წინააღმდეგ მაკდონალდის კაბინეტს ნდობა გამოუცხადეს.

მილერანის სიტყვა ვალებისა და რურის შესახებ.

რომი. 28 თებერ. სავაჭრო პალატის ახალი შენობის გახსნის დროს მილიერანმა წარმოსთქვა სიტყვა, რომელშიაც აღნიშნა, რომ საფრანგეთი, რომელმაც აუარებელი ენერგია და ფული დახარჯა აოხრებულ ოლქების აღდგენისათვის, იძულებულია უცადოს გერმანიის ვალების გადახდას.

რურის ოკუპაცია მიზანი კი არაა, არამედ საშუალებაა ამ გადასახადების მისაღებათ გერმანიისაგან.

საფრანგეთს იმედი აქვს, რომ უშუალო მოლაპარაკება გადასახადების დაუყოვნებლივი მოგვარებისა და რურის ევაკუაციის შესახებ, საბოლოოდ გადაწყვეტავს ამ საკითხებს.

პრეზიდენტმა განაცხადა აგრეთვე, რომ საფრანგეთი არასოდეს არ მიმართავს ინფლიანციას, მაგრამ ის ყოველთვის დაიცავს პრინციპს: დამზადება და მომჭირნეობა.

8 საათის სამუშაო დღე.

ლონდონი. 28 თებერ. შრომის მინისტრმა შოუმ განაცხადა, რომ მას განზრახვა აქვს ახლო მომავალში გაატაროს კანონ-პროექტი 8 საათის სამუშაო დღის შესახებ.

მდგომარეობა გერმანიაში

ლიუდენდორფის, ჰიტლერის და სხვების პროცესი.

ლონდონი. 26 თებერ. **„დეილი მეილი“ იუწყება, რომ ლიუდენდორფის, ჰიტლერის და მათი მომხრეების პროცესი დაიწყო დღეს დილით.** პროცესი სწარმოებს სამხედრო სკოლის შენობაში, რომელსაც ეკლიანი მავთულის ხლართი შემოავლეს გარშემო.

საზოგადო ბრალმდებელმა წაიკითხა დასაბუთებული ანგარიში 9 ნოემბრის აჯანყების შესახებ. **ლიუდენდორფს, ჰიტლერს და მათ მომხრეებს ბრალათ ედება როგორც ბავარიის, ისე საიმპერიო მთავრობის ჩამოგდების განზრახვა.**

წისქვილების მუშათა გაფიცვა.

ბერლინი. 27 თებერ. გრძელდება წისქვილების მუშათა გაფიცვა. მქვებავთა კავშირი პროტესტს აცხადებს გაფიცულთა დაპატიმრების წინააღმდეგ და აღნიშნავს, რომ დაპატიმრების გამართლება არაფრით არ შეიძლება, ვინაიდან გაფიცვა სრულებით არ აბრკოლებდა ბერლინის მოსახლეობისათვის საჭმელის მიწოდების საქმეს.

ბრძოლა სამუშაო ხელფასისათვის.

ბერლინი. 27 თებერ. კრეფელდში საფეიქრო მრეწველობის მუშათა უმრავლესობა მიემხრო მუშების განახლებას. რეიშეიდში და ზოლინგენში მრავალმა მუშებმა განაახლეს მუშაობა და თანხმობა განაცხადეს 9 საათის სამუშაო დღეზე. **ნახშირის რაიონის მუშები, რომლებიც ეკუთვნიან თავისუფალ კავშირებს, მიემხრნენ ბრძოლის გაგრძელებას. გემების სადამშენებლო ქარხნების მუშებმა ბრემენში და ჰამბურგში უარი სთქვეს 9 საათის სამუშაო დღეზე.** საქსონიის საფეიქრო მრეწველობის მუშებმა არ მიიღეს 9 საათის სამუშაო დღე. მრავალ ადგილას დაიწყო გაფიცვა.

ინგლის-გერმანიის შეთანხმება.

ბერლინი 27 თებერ. გერმანიის და ინგლისის მთავრობებს შორის მიღწეულია შეთანხმება, რომლის ძალით 5 პროცენტით შემცირებული უნდა იქნეს ანარიცხი რეპარაციის ანგარიშში გასაზიდ საქონელზე.

ითხოვენ მუშებს.

ბერლინი. 26 თებერვალი. **ლითონის მრეწველობის მუშებმა უარყვეს მეწარმეების წინადადება 9 საათის სამუშაო დღის შემოღების შესახებ.** მეწარმეებმა დაიწყეს მუშების მასიური დათხოვნა.

ბერლინი. 26 თებერვალი. ვინაიდან ნავთსადგურის მუშებმა ჰამბურგში, ბრემენში, კილში, ლიუბეკში და ფლენსბურგში უარი უთხრეს მეწარმეებს გადიდებული სამუშაო დღის შემოღებაზე, მეწარმეები შეუდგნენ მუშების დათხოვნას. **ჰამბურგში დაითხოვეს 20.000 მუშა.**

ჰიტლერის საქმე.

ბერლინი 26 თებერვალი. მიუნხენის კადეტთა კორპუსის შენობაში დაიწყო ჰიტლერის პროცესი. შენობის გარშემო დაყენებული არიან პატრულები ტყვიისმფრქვეველებით. ბრალდებულთა სკამზე სხედან—ჰიტლერი, ლიუდენდორფი, ბავარიის უმაღლეს სასამართლოს წევრი ჰენერი, ფაშისტურ კავშირის „ობერლანდის“ თავმჯდომარე—ვეიბერი, პოლკოვნიკი რემმი, ლეიტენანტი პერნო. ჩვეულებრივ ფორმალობის შესრულების შემდეგ ქვეყნდება საბრალმდებლო აქტი, რომელშიაც მოთხრობილია ამბოხების ისტორია.

ამბოხების ისტორია.

ჰიტლერს ბრალად ედება გადატრიალების ინიციატორობა. ლიუდენდორფს წაყენებული აქვს ბრალდება ჰიტლერისათვის ხელის შეწყობაში. დანარჩენებს ბრალად ედებათ მებრძოლ კავშირების მობილიზაცია, სახელმწიფო დინოგრაფიის კონფისკაცია, გამოსვლების დაწყების შესახებ ბრძანების გავრცელება და ლიუდენდორფთან ერთად ეროვნული არმიის შედგენის ცდა, რეიხსვერის წინააღმდეგ გასალაშქრებლად. შტენლერმა მოითხოვა სასამართლოდან საზოგადოების დათხოვნა, „სახელმწიფო უშიშროების დაცვის“ მიზნით. დამცველები მოითხოვდნენ საქმის გარჩევას ღია კარებში. სასამართლომ დაადგინა ნაწილობრივ დაუშვას საზოგადოება.

ჰიტლერის დაკითხვა.

დაჰკითხეს ჰიტლერი, რომელმაც განაცხადა შემდეგი: „ვმსახურობდი ბავარიის არმიაში, 3-ჯერ მივიღე ჯილდ [illegible] იმამაცისათვის, 2-ჯერ ვარ დაჭრ [illegible] დაბადების ადგილის მიხედ [illegible] ავსტრიის ქვეშევრდომი. ვსწავ [illegible] პოლიტეხნიკუმში, მაგრამ [illegible] არ დამისრულებია“. [illegible] ს დაკითხვის შემდეგ სას [illegible] სხდომა სწყდება. ქალა [illegible] ბა ძ [illegible] სიწყნარეა. ჰიტლერის მო [illegible] გ მოუწოდებენ ტევტონთა კავ [illegible] თავი შეიკავონ დემონსტ [illegible] ან სასამართლოში საქმის გარ [illegible] დროს.

ბულგარეთის ამბები

მთავრობის მძიმე მდგომარეობა.

ვენა. 27 თებერვალი. **ცანკოვის მთავრობის მდგომარეობა საგრძნობლად გაუარესდა მთავრობის შემადგენლობიდან სოციალ-დემოკრატების გასვლის და შინაგანი კრიზისის გამო.** დემოკრატიული „სგოვორის“ კონგრესზე, რომელიც შესდგა სოფიაში, რადიკალების პარტიამ გამოიჩინა ოპოზიციონური განწყობილება, შესაძლებელია მთავრობის ბლოკის გასვლა რადიკალების ფრაქციიდან. გაძლიერდა მუშათა და გლეხთა მასების მტრული დამოკიდებულება მთავრობისადმი. გახშირდა პოლიციასთან შეტაკება ქუჩებში. მთავრობა ცდილობს ოპოზიციის ჩაქრობას და დაუწყნარებელ ელემენტებს აპატიმრებს ციხეებში დიდი ხნის ვადით. ვიდინის ოლქში ამას წინად დააპატიმრეს გლეხთა პარტიის წევრები

სამხრეთ-სლავიის ელჩის განცხადება.

პარიზი. 27 თებერვალი. სამხრეთ სლავიის ელჩმა პარიზში სპალიკოვიჩმა „მატენ“-ის წარმომადგენელთან საუბრის დროს განაცხადა, რომ ბულგარეთი თავს უყრის ჯარებს მაკედონიის საზღვარზე. თათბირმა, რომელიც შესდგა სოფიის მახლობლად მეფე ბორისის თავმჯდომარეობით და კომიტაჯიების ბელადის ალექსანდროვის მონაწილეობით, თითქოს შეიმუშავა პოლიტიკურ და სამხედრო მოქმედების გეგმა. სპალიაკოვიჩის აზრით, გაზაფხულზე მოსალოდნელია შეიარაღებული კონფლიქტი. სპალიაკოვიჩის განცხადებას კატეგორიულად უარჰყოფს ბულგარეთის წარმომადგენელი პარიზში.

სხვადასხვა ამბები

რუმინეთი

რუმინეთის პარლამენტში.

ვენა. 26 თებერვალი. რუმინეთის პარლამენტის სხდომაზე ბესარაბიის დეპუტატმა, გლეხური პარტიის წევრმა სამჩიპამ გამოამჟღავნა რუმინეთის სამხედრო ტერორი ბესარაბიაში და მოითხოვა ამინისტია დატუსაღებულთათვის. ყველა ოპოზიციონური პარტიების წარმომადგენლები სასტიკად აკრიტიკებდენ მთავრობის პოლიტიკას ნაციონალურ უმცირესობათა მიმართ.

პროტესტი ძლიერდება.

ვენა. 26 თებერვალი. **მიუხედავათ სამხედრო წესებისა, მუშათა მოძრაობა ბესარაბიაში ძლიერდება.** უკანასკნელ ხანებში მოხდა მთელი რიგი გაფიცვებისა, რომლებიც გამოიწვია მეწარმეების ცდამ შრომის ხელფასის შესამცირებლათ.

კომინტერნში

კომინტერნის აღმასკომის მოწოდება

მოსკოვი. 28 თებერვალი. ამხანაგო, პროლეტარებო და კოლონიალურო მონებო! სწორეთ ხუთი წლის წინეთ პირველ პროლეტარულ სახელმწიფოს დედა-ქალაქში დაარსებული იყო კომუნისტური ინტერნაციონალი—მუშების დიდებული საერთაშორისო ამხანაგობა. თავდადებულ რევოლიუციონურ მებრძოლების მიერ დაარსებული, ის ეხლა გახდა უდიდეს ძალათ, რომლის დროშის ქვეშ მიდიან ყველა ქვეყნის მრავალი მილიონი მუშები და რომლის ხელმძღვანელობითაც განმათავისუფლებელ ბრძოლას აწარმოებენ კოლონიალური ხალხები.

კომუნისტური ინტერნაციონალი დაიბადა საერთაშორისო ომის ქარიშხალში და ქარბუქში, იმ ომის, რომელმაც ცეცხლის ალში გახვია ევროპის ქალაქები და სოფლები. ხუთი წელი გავიდა მას შემდეგ. რევოლიუციონური ტალღების მიმოქცევის დროს კომინტერნი მტკიცეთ იდგა თავის პოსტზე, როგორც მუშათა არმიის პროლეტარული მზვერავი და მოწინავე მებრძოლი. პირველათ მუშათა მოძრაობის ისტორიაში, მშრომელმა მასებმა შექმნეს საერთაშორისო ორგანიზაცია, რომელსაც ბრძოლაში მიყავს სამრეწველო ქვეყნების გიგანტიურ ქალაქების რევოლიუციონური მუშები და დამონებულ კოლონიალურ კაცობრიობის ფერადი მასები.

პირველად ისტორიაში იქმნება მებრძოლი კავშირი რევოლიუციონურ პროლეტარიატსა და დაჩაგრულ გლეხობის შორის.

პირველათ ერთმანეთს უახლოვდებიან მუშა დასავლეთი და დაჩაგრული აღმოსავლეთი.

პირველად ისტორიაში საერთაშორისო პროლეტარიატს თავის ხელში უჭირავს მთელი უზარმაზარი ქვეყანა. ეხლა უკვე ყველასათვის ნათელია, რომ კაცობრიობა შლის სრულიად ახალ ფურცელს თავის ისტორიაში.

არა მარტო ბურჟუაზია სდგას ჩვენს წინააღმდეგ ბარიკადის მეორე მხარეზე, არამედ იქ ჩასაფრებულნი არიან მუშათა კლასის მოღალატენი და დეზერტირები—სოციალ-დემოკრატია. მეორე ინტერნაციონალი—ეს ბურჟუაზიის აგენტურა მუშათა მოძრაობის შიგნით, კიდევ სწამლავს პროლეტარულ ორგანიზმს. სოციალ-დემოკრატია, რომელიც იცავდა თავის იმპერიალისტურ მთავრობებს საერთაშორისო ომის დროს, რომელიც ახშობდა მოწინავე მუშების აჯანყებას, რომელმაც ხელი მოაწერა ვერსალის ხელშეკრულებაზე, რომელმაც მოჰკლა ლიბკნეხტი და ლიუქსემბურგი,—ნოსკეს, ვანდერველდეს და ჩერნოვის სოციალ-დემოკრატია ჯერ კიდევ ცოცხალია, თუმცა მისი ბატონობა უკვე შეირყა. მტრების ხროვის დამარცხება, მუშების უმრავლესობის მიმხრობა ყველგან—ძირითადი ამოცანაა კომუნისტურ ინტერნაციონალის.

კომუნისტურმა ინტერნაციონალმა დაგვანახვა, რომ ის არის ერთადერთი ძალა, რომელიც წინააღმდეგობას უწევს იმპერიალისტურ ძალადობას.

მხოლოდ ის ილაშქრებდა ვერსალის სამარცხვინო ხელშეკრულების წინააღმდეგ, იბრძოდა გერმანიის დაქუცმაცების, რურის ოკუპაციის, ინდოეთში, ირლანდიაში და ეგვიპტეში ჩადენილ თვითნებობისა და უკანონობის წინააღმდეგ, მან ძალთა მობილიზაცია მოახდინა სამხედრო საშიშროების წინააღმდეგ.

მიუხედავათ იმისა, რომ ჩვენმა ორგანიზაციამ დაკარგა თავისი გენიალური ბელადი, ამხანაგი და მასწავლებელი—ის წავა დიად გამარჯვებისაკენ, რადგან მისი ხმით ლაპარაკობენ მილიონები. „კომუნიზმის აჩრდილი“ მიაბიჯებს უკვე არა მარტო ევროპაში. მისი მძლავრი, მქუხარე ნაბიჯების ხმა ისმის მთელს მსოფლიოში, ყველგან ფრიალებენ კომუნისტური გადატრიალების წითელი დროშები.

კომუნისტური ინტერნაციონალის გამარჯვება აუცილებელია, რადგან ის მიდის იმ დროშების ქვეშ, რომლებზედაც სწერია ცეცხლოვანი სიტყვები: „პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით“.

საერთაშორისო მუშათა მოძრაობა

ინგლისში

ახალი გაფიცვის წინ.

პარიზი. 27 თებერვალი. **ინგლისის მადაროების მუშებში დიდი აღელვებაა**, რომელიც გამოწვეულია საკითხით შრომის ხელფასის გადიდების შესახებ.

მადაროების მუშების განწყობილება საბაბს იძლევა ვიფიქროთ, რომ ისინი დაიცავენ თავის მოთხოვნილებებს სოლიდარული გაფიცვით.

საქართველოს ცაკის მეორე სესია

მესამე სხდომა.

თავმჯდომარეობს ამხ. მიხა ცხაკაია. სიტყვა მოხსენებისთვის ეძლევა ამხ. მარიამ ორახელაშვილისას.

დეკრეტი ენის ხმარების შესახებ სახელმწიფო დაწესებულებებში.

(მომხსენებელი ამხ მარიამ ორახელაშვილისა).

ა.-კ. ცენტ. აღმასკომის მეორე სესიის დეკრეტის თანახმად ს. ს. ს რესპუბლიკის სახელმწიფო—ძირითად ენად ცხადდება ქართული ენა, ე. ი. ქართული ენა იქნება საკანონმდებლო და საქმის საწარმოებელი ენა ყველა ცენტრალურ დაწესებულებებში. იქ, სადაც არა ქართველები უმრავლესობას წარმოადგენენ, პროექტით დადგენილია უმრავლეს მოსახლეობის ენის ხმარება.

საქართველოში მრავალი ეროვნული უმცირესობანი სცხოვრობენ და ტეხნიკურად შეუძლებელია, რომ ყველა ეროვნულ უმცირესობათა ენა იხმარებოდეს. პროექტით განზრახულია ყველაზე მეტად გავრცელებულ ეროვნულ უმცირესობათა ენის ხმარების დაკანონება. ასეთია: სომხური, თათრული და რუსული.

უმაღლესი ხელისუფლების ყველა განკარგულებები და დადგენილებანი გარდა სახელმწიფო ენისა, უნდა იცემოდის სამს ზემოხსენებულ ენაზე გამოცემულ განკარგულებათა ძირითადი ცენტრად ითვლება სახელმწიფო ენა—ქართული.

ადგილობრივი ხელისუფლების გამოცემული დადგენილების და განკარგულების მიმართ იგივე პრინციპი უნდა იყოს დაცული. ეროვნულ უმცირესობათ ენიჭებათ უფლება დედა ენაზე იქონიონ ურთიერთობა ხელისუფლებასთან და სასამართლოსთან, რომელთაც ევალებათ აგრეთვე გასაგებ ენაზე გასცენ პასუხი უმცირესს ეროვნების მოქალაქეებს.

რუსული ენა, როგორც ყველაზე უფრო გავრცელებული, რჩება სახმარებლად იმ ეროვნებათა მოქალაქეთათვის, რომელთაც არ ესმით ზემოთხსენებული ენები (ქართული, სომხური, თათრული).

უმნიშვნელო შესწორების შეტანის შემდეგ პროექტი სესიის მიერ ერთხმად იქნა მიღებული.

ენის ხმარების შესახებ პროექტის მიღების შემდეგ ამხ. **გარძიელი კითხულობს „დამტკიცებულ კოდექსებში ცვლილებათა შეტანის წესის“** პროექტს, რომელსაც სესია ერთხმად იღებს.

სესია გადადის მორიგ საკითხზე.

მიწის კოდექსის პროექტი.

(მომხსენებელი ამხ. ვ. კანდელაკი).

მომხსენებელი აცნობს რა სესიას მიწის კოდექსის ძირითად დებულებებს, მუხლობრივად მარტავს კოდექსის თვითეულ ნაწილს, კარსა და თავს. მომხსენებელი ვრცლად ჩერდება შრომითი მიწის სარგებლობაზე, რომელიც შეიცავს სამს კარს: მიწის მუშათა უფლებას მიწის სარგებლობაზე, მიწის შრომითი იჯარას და მუშის დაქირავებას შრომით მეურნეობაში. შემდეგ მომხსენებელი არკვევს შრომითი მიწის მეურნეობას, (კომლის შემადგენლობას, კომლის გაყოფას, ღონისძიებათ მეურნეობის დაქუცმაცების წინააღმდეგ) შემდეგ მომხსენებელი [illegible] მიწით სარგებლობის ფორმების ზოგად დებულებებს, ჩერდება მიწის ნორმაზე და მიწის თემურად სარგებლობაზე.

პროექტის მეორე ნაწილი შეიცავს დებულებებს ქალაქის მიწებისა და სახელმწიფო-საადგილმამულო ქონების შესახებ.

აქ მომხსენებელი მარტავს დებულებებს მიწის ნორმების შესახებ ქალაქში, საბჭოთა მეურნეობაზე და საძოვრებზე. დასასრულ მომხსენებელი ეხება პროექტის მესამე ნაწილს; მიწათ-მოწყობას და გადასახლების საკითხს.

პროექტის წაკითხვის შემდეგ იმართება კამათი, რომელიც უმთავრესად შეეხება მიწის ნორმების განსაზღვრას ქალაქში, მიწის ნორმის განსაზღვრის საფუძველს, კომლის გაყოფას, წითელარმიელთა საკომანდო შემადგენლობის უფლებას მიწაზე და სხვა.

პროექტის დეტალურად განსახილველად სესია ირჩევს 18 კაცისაგან კომისიას.

ს. ს. ს. რ. სატყეო კოდექსი

(მომხსენებელი ამხ. კანდელაკი)

ს. ს. ს. რ. სატყეო კოდექსი შეიცავს შემდეგ ძირითად დებულებათ: სუყველა ტყეები და უტყეო ადგილები სათანადო წესით გამოყოფილნი სხვა დანიშნულების მიწებისაგან, წარმოადგენენ მუშურ-გლეხურ სახელმწიფოს საკუთრებას და შეადგენენ მთლიან სატყეო-სახელმწიფო ფონდს. შემდეგ მომხსენებელი გადადის კოდექსის თვითეული განყოფილების მუხლობრივ განხილვაზე. იგი ეხილავს დებულებას ადგილობრივ მნიშვნელობის და საერთო სახელმწიფო მნიშვნელობის ტყეებზე, კოდექსის მეორე და მესამე თავი შეეხება სატყეო მეურნეობის მოწყობას და ტყით არაპირდაპირ სარგებლობას.

მომხსენებელი ეხება რა მოკლეთ დებულებებს განსაკუთრებული დანიშნულების ტყეების და სახელმწიფო სატყეო მმართველ ორგანოებზე, ვრცლად ჩერდება ტყეების დაცვაზე. მოხსენების შემდეგ იმართება კამათი ტყით სარგებლობის და ტყის დაცვის შესახებ.

სესიას გამოაქვს დადგენილება კოდექსის მეორე თავში შეიტანოს შესწორება, რომლის თანახმად სატყეო განყოფილებას ნება ეძლევა კოდექსის 24—25 მუხლში აღნიშნულ მცხოვრებთა კატეგორიებს ღარიბ მშრომელ მოსახლეობას, ქვრივ-ობლებს მიეცეს ნაყარი და ხმელი ტყე უფასოდ. მაზრის აღმასკომების მიერ ტყით-სარგებლობის შესახებ სესიას შეაქვს შემდეგი შესწორება: სხვადასხვა მშენებლობითი საჭიროებისათვის აღმასკომებს შეიძლება მიეცეს უფასოდ ხე-ტყე, რომლის პროცენტი განსაზღვრულ უნდა იქნეს თვითეული მაზრის მიმართ ცალკე.

სატყეო კოდექსის განხილვა მიენდო მიწის კოდექსის განსახილველად არჩეულ კომისიასვე.

სხდომა ღამის 11 საათზე დასრულდა.

წითელ რესპუბლიკებში

რუსეთი

რუმინეთის ახალგაზრდობის კომკავშირის მდგომარეობა.

მოსკოვი. 28 თებერვალი. რუმინეთის ახალგაზრდობის კომკავშირის წარმომადგენელმა ახალგაზრდობის კომინტერნის აღმასკომში გააკეთა მოხსენება, რომლიდანაც გამოირკვა ახალგაზრდობის აუტანელი მდგომარეობა რუმინეთის არმიაში, სადაც შეგნებულ ჯარისკაცებს იჭერენ და ხვრეტენ „ოხრანკის“ აგენტები.

ტრანსპორტის სერტიფიკატები.

მოსკოვი. 28 თებერვალი. გამოცხადებულია, რომ პირველი 5 სერიის ტრანსპორტის სერტიფიკატები, რომლებზედაც აღნიშნულია, რომ მათ ძალა აქვთ 1-ლ მარტამდი, მიღებულნი იქნებიან ფინანსთა სახალხო კომისარიატის და სახელმწიფო ბანკის ყველა სალაროების მიერ 1924 წ. 30 აპრილამდი.

მოხსენება კრეშჩენის ბაზრობის შესახებ.

ხარკოვი. 27 თებერ. კრეშჩენის ბაზრობის მონაწილეთა საზოგადო რებაზე საბაზრო კომიტეტის თავმჯდომარემ მაკაგონმა აღნიშნა, რომ ბაზრობა, მიუხედავად მრავალ დაბრკოლებათა, წარმატებით ჩატარდა. მოხდა დაახლოვებით 1,000 გარიგება. ბრუნვა უდრის თითქმის 25 მილიონ ოქროს მანეთს. აქედან 23 მილ. მოდის საბითუმო ვაჭრობაზე. დანარჩენი საწვრილმანოზე მაშინ, როდესაც კრეშჩენის შარშანდელ ბაზრობის ბრუნვა 3 მილიონ მანეთს ძლივს აღემატება.

გაყიდულია საქონელი უმთავრესად დაბალი საფეხურის კოოპერაციის. ბაზრობამ მიაწოდა საქონელი დაახლოვებით 20,000 გლეხის ოჯახს. საგუბერნიო სასოფლო-სამეურნეო ბანკმა ბაზრობის დროს თავი მოუყარა 5,000 ახალ გლეხ-პაის შემტანს. ბაზრობამ ითამაშა დიდი როლი პურის დამზადების საქმეში. პურის გასაღებაში მონაწილეობას იღებდა 32 გუბერნია, პურის გამყიდველებად იყვენ სახელმწიფო ორგანიზაციები—84 პროცენტი, კოოპერატივები—14 პროცენტი, კერძო პირები—2 პროცენტი. მყიდველებათ იყვენ—სახელმწიფო ორგანიზაციები—50 პროცენტი, კოოპერატივები—51 პროცენტი, სააქციონერო საზოგადოებანი—4,7 პროცენტი, კერძო პირები—4,3 პროცენტი.

ბაზრობას ჰქონდა უდიდესი მნიშვნელობა ქალაქის და სოფლის შორის კავშირის დამყარების მხრივ.

უკრაინა

შევჩენკოს დაბადებიდან 109 წლის შესრულების გამო.

ხარკოვი. 28 თებერვალი. 11 მარტს სრულდება 109 წელი შევჩენკოს დაბადებიდან. უკრაინის კომპარტიის ცეკა საგუბერნიო კომიტეტების მიმართ გაგზავნილ წერილში აღნიშნავს, რომ შევჩენკოს დაბადებიდან 109 წლის შესრულების დღესასწაული ჯამს გაუკეთებს ნაციონალურ პოლიტიკას უკრაინაში და იქნება სოფელთან კავშირის შემოწმება და განმტკიცება.

დახმარება უმუშევრებს

დონის როსტოვი. 27 თებერვალი. სახელმწიფო გემების საამშენებლო სამმართველოს მუშა-მოსამსახურეებმა კვირას იმუშავეს უმუშევართა დახმარების ფონდის გასაძლიერებლად და დაადგინეს ყოველთვიურად გადარიცხონ უმუშევართა დახმარების ფონდში 1 პროცენტი.

ლენინის ხსოვნისათვის

აზერბეიჯანი.

ილიჩის პარტია.

ბაქო. 27 თებერვალი. კომპარტიაში უკვე შეტანილია მუშების 6,900 განცხადება, გრძელდება განცხადებების მიღება. ჯერ-ჯერობით მიღებულია 1783 მუშა. ახალგაზრდობის ლენინის კომუნისტურ კავშირში შევიდა 607 კაცი. აზერბეიჯანის ახალგაზრდობის ლენინის კავშირის ბაქოს ორგანიზაციამ გადასცა პარტიას 279 კაცი.

ლტოლვა კომპარტიისაკენ.

ჩერკასი. 28 თებერვალი. შემოვიდა 350 განცხადება პარტიაში შესვლის შესახებ. უმრავლესობას შეადგენენ კვალიფიციური რკინისგზელები და მეთამბაქოები.

კამკოვი. 28 თებერვალი. თებერვალში შემოვიდა 300 მუშის განცხადება პარტიაში შესვლის შესახებ.

კრასნოიარსკი. 28 თებერვალი. მთელს გუბერნიაში შემოვიდა პარტიაში სულ 1602 მუშა და გლეხი. მარტო რკინისგზელებმა გამოგზავნეს 791 ახალი წევრი, წყალზე მომუშავეთა კავშირმა—257, მემადნეებმა—114.

ლენინის დაბადების დღე.

მოსკოვი. 27 თებერვალი. ახალგაზრდა პიონერების ცენტრალურმა ბიურომ დაადგინა აღდგომის ნაცვლად, 22 აპრილს, ლენინის დაბადების დღეს ჩაატაროს ფართე ანტირელიგიური კამპანია ბავშვებს შორის.

ლენინის აკლდამის მოწყობა.

მოსკოვი. 27 თებერვალი. მუშაობა ლენინის აკლდამის მოსაწყობათ დამთავრდა.

ილიჩის პარტიაში.

ჩერნიგოვი. 27 თებერვალი. უმიწაწყლო და უღარიბეს გლეხობას ემჩნევა დიდი ლტოლვა კომპარტიისაკენ.

ლენინგრადი. 27 თებერვალი. **ლენინგრადში და ლენინის მაზრაში და კრონშტადტში 25 თებერვლისათვის შემოსულია 30.000 განცხადება პარტიაში მიღების შესახებ.**

ამიერ კავკასიის ფედერაციაში

აზერბეიჯანი

ეპიდემიასთან ბრძოლა.

ბაქო. 26 თებერვალი. მაზრებში ტიფის, გრიპის, მალარიის, დიფტერიის, ციმბირის ჭირის დეზინტერიის და სხ. ეპიდემიის გავრცელების გამო, სომხეთის ჯანმრთელობის სახ. კომისარმა გამოაცხადა ექიმების მობილიზაცია 45 წლამდე, მცხოვრებთათვის სასწრაფო დახმარების მისაწოდებლად.

პროფკავშირების მეოთხე ყრილობა.

ბაქო. 27 თებერვალი. აზერბეიჯანის მეოთხე ყრილობის გახსნის დღეს მისალმებით გამოვიდა სახალხო კომისართა საბჭოს თავმჯდომარე ამხ. მუსაბეკოვი, რომელსაც შეხვდენ მქუხარე ტაშისცემით. ამხ. მუსაბეკოვმა დაახასიათა ყრილობის მომავალი მუშაობა, მისი პოლიტიკური და ეკონომიური მნიშვნელობა და აღნიშნა, რომ უახლოეს ამოცანებს, რომლებიც დასმულია პროფკავშირების წინაშე, **წარმოადგენენ:** აქტიური მონაწილე-

ქართველ. ხელ ა კავშირი პა

პარიზი. 26 თებერვალ დაარსდა ქართველ მხატვრების და პოეტების ასოც ნიკოლოზ მიწიშვილის თავმჯდომარეობით. ასოც ანია გააერთიანოს ყველა ქართველი კულტურული მ ევროპაში და აღადგინოს მჭიდრო კულტურული კავ თა საქართველოსთან.

ობა წარმოების გეგმიან მუშა დაახლოვება კოოპერაციასთან სოფლო მეურნეობის განვითარ

ნავთის ამოღება.

ბაქო. 27 თებერვალი. 11-დ თებერვლამდე ბაქოს ყველა ველოებში ამოღებულია 6, ფუთი ნავთი.

სომხეთი

შავი ჭირის ლიკვიდაცი

ერივანი. 27 თებერვალი ყვითელი და ენერგიული გ შავი ჭირის წინააღმდეგ ე გუბერნიაში უკანასკნელი სავსებით აღმოიფხვრა.

ამ უკანასკნელ დღეებში გეგვარდში ადგილი ჰქონდა რის ჭირის შემთხვევას. მ სათანადო ზომები.

სახალხო ფონდი.

ერევანი. 27 თებერვალ თის ცაკის პრეზიდიუმთან ამხ. ლენინის სახელობის ფონდი, რომლის სასარგებ ხეთის ცაკმა და სახ. კომი ჰომ გადასდო 10,000 მან სიის თავმჯდომარე—სომხ კის თავმჯდომარე ამხ. ანი,- წევრები ამხ. აზატია სიანი, მრავიანი და გოხტ

საჰაერო მიმოსვ

ერევანი 27 თებერვალ წარმოებს წინასწარი მ

მიმოსვლის მოსაწყობად. ეთის ცაკის პრეზიდიუმმა წინადადება მისცა სამაზრო აღმასკომს წყონ ჰაეროდრომები. სამუშაო პროექტის შედგენა მიენდო სომ ის საჰაერო ფლოტის მოხალისე საზოგადოებას.

სკოლის საქმე.

ლენინაკანი. 27 თებერვალი. სა ხო განათლების განყოფილების ასენების თანახმად, მიმდინარე სასწავლო წელს ქალაქსა და მაზრაში სებობს 120 სახალხო ბაღი და რველი საფეხურის სკოლები 26-ით ტია, ვიდრე შარშან. 2-ე საფეხურის სკოლა ორია—აქედან ერთი ტექნიკუმია. ლენინაკანში სავალდებულო სწავლების შემოღების შემდეგ მოსწავლეთა რიცხვი გაიზარდა ,853-ით. წერა-კითხვის უცოდინარობის სალიკვიდაციო პუნქტები ქალაქში—92. გარდა ამისა სახ. განათლების განყოფილებამ გახსნა სოფ. იპჩაკში გასინჯანის მონასტრის შენობაში სასოფლო-სამეურნეო სკოლა და მუშათა ფაკულტეტი.

სომხეთის კომპარტიის ცეკას პლენუმი.

ერევანი. 27 თებერვალი. გუშინ გაიხსნა სომხეთის კომპარტიის ცეკას პლენუმი ცენტრალურ საკონტროლო კომისიის სამაზრო კომიტეტების პრეზიდიუმების წევრთა და მდივნების მონაწილეობით.

პარტიული ცხოვრება

შაბათს, 1 მარტს, საათზე ცენტრალურ პარტიულ კლუბის შენობაში (კირკის ქ.) ს კომპარტიის ცეკა მართავს დისკუსიას „ცეკავშირი"-ს და „წარ -ს ურთიერთობის საკითხის შესახებ. ცეკა სთხოვს სამაზრო ბის და საქარ. კომპარტიის ტფილისის ორგანიზაციის უჯრედ დგენლებს დაესწრონ დისკუსიას.

ცეკას მდივანი **ლომინაძე.**

ქალთა საერთაშორისო დღისათვის

ცირკულიარულად

პარტიის ყველა ცენტრალურ კომიტეტებს ამიერ-კავკასიაში

ქალთა საერთაშორისო რებული უნდა იქნას, საერთო პროლეტარული. პარტიულმა დანა ლურმა ორგანიზაციებმა მონაწილეობა უნდა მიე სასწაულში.

უნდა გვახსოვდეს, ში, ამიერ-კავკასიაში, ს და გლეხი-ქალი დაჩაგრული ხური და საზოგადოე ბის განსაკუთრებულ ბით, ამ დღეს განსაკუთრ მნიშვნელობა აქვს. ამ დღი რისო მნიშვნელობის გარდა, გარკვევით აღნიშნ ღწევები აღმოსავლეთის განთავისუფლების საქმეში კავკასიაში, კომპარტიისა ხელისუფლების ლოზუნგ მიმართულებით.

ამხ. ლენინის „საბჭოთა ხელისუფლ მიყვანილი იქნება ბოლომდე მასში მონაწილეობას მილიონი და მილიონი ბი და გლეხი-ქალები",—ერ-კავკასიაში, განსაკუთრებით დიდი მნიშვნელობა აქვს.

ქალაქის მუშა-ქალი, როგორც უფრო შეგნებული, უნდა დაეხმაროს ამიერ-კავკასიის სოფლის გლეხ-ქალს ყოფა-ცხოვრების მონობიდან განთავისუფლებაში. ამიტომ უფრო გაამაგრეთ მუშა და გლეხი-ქალების მჭიდრო კავშირი. მუშა-ქალთა საერთაშორისო დღესასწაულის დღეს ფართოთ განავითარეთ ეს ლოზუნგი.

კამპანია ჩაატარეთ იმ პრაქტიკული გეგმით, რომელიც დაგზავნა რ. კ. პ. ამიერ-კავკასიის საოლქო კომიტეტის ქალთა განყოფილებამ 1923 წ. 12 დეკემბერს და იმ თეზისების თანახმად, რომელიც დაიბეჭდა გაზ. „ზარია ვოსტოკა"-ს № 510. 8 მარტის დღესასწაულის დღეს ჩაატარეთ მუშა-ქალების მასიური მიღება კომპარტიაში.

რ. კ. პ. საოლქო კომიტეტის
მდივანი **ა. მიასნიკოვი.**
სააგიტ.-საპროპაგ. განყ. გამგე
ხ. ტაკოევი.
ქალთა განყოფილების გამგე
გოლუბევა.

ივ. კეკელიას ხსოვნას

15 თებერვალს ბანძის რაიონის (სენაკ. კომპარტიის ორგანიზაცი ახალგაზრდა მუშაკი, ერი 1917 წლიდან, ამხანაგ თის ძე კეკელია. მისი გამოწვეულია იმ მძიმე, რომელიც მან გა 17—1920 წლებში თეთრ თელებთან ბრძოლაში სო რაიონებში, სადაც ის, საქართველოში მენშევი ებდა, წითელ არმიის იბრძოდა მშრომელ მასისუფლების მოლოდინში. ამხ. ივანე კეკელია გად საქართველოს ტერიტორიაზე გლეხობაში ეწევა არალე ობას კომპარტიის სას საქართველოს გასაბჭოებ ამხ. ივანე განუწყვეტლი სხვადასხვა პარტიულ დავალებებს, უკანასკნელად ითვლებოდა ბანძის რაიკომის წევრად და „ეპო"-ს გამგეობის თავმჯდომარეთ. დიდია მისი ღვაწლი მშრომელთა წრეში და უდროოდ შესწყდა მისი ნაყოფიერი მუშაობა. ის სულ 25 წლის იყო.

ბანძის რაიონის ორგანიზაცია ღრმა მწუხარებით დასტირის ახალგაზრდა რევოლიუციონერის ამხ. ივანეს დაკარგვას.

ამხანაგო ივანე! არ დაგვცალდა გამოგეჩინა მთელი შენი ნიჭი, ენერგია და სიყვარული რევოლიუციისადმი, არ დაგვცალდა ბოლომდე მიგეყვანა შენი მიზნები. თქვენი ხსოვნა წაუშლელი დარჩება თქვენს რევოლიუციონურ ამხანაგთა და მთელი მშრომელ მასის გულში.

ა. გაგუა.

ოზურგეთუჯრედი შინაპარტიულ დემოკრატიის შესახებ

ქალ. ოზკომუჯრედის გაერთიანებულმა კანდიდატებთან ერთად რა მოხსენება შინა-პარტიული დემოკრატიის ური ამოცანების ცხოვრ არების შესახებ, და გა დეკემბრის რ. კ. პ. ცეკ უციას, კრება ერთხმად ამ ის მხარს უჭერს რ. საქართველოს ცეკას დადგდა საჭიროთ მიაჩნია, რა დაჩქარებით მისი ცხოვრ რება.

თავის მხრივ დგენს:

1. საბჭოებში გამეფებულია ზოგ ხვევაში ბიუროკ ზმ და აუცილებელია, რათ ვენი საბჭოთა ორგანოები ს ბურჟუაზიული ელემენ ზედმეტი ბალასტისაგან ებულ იქნას მშრომელი ელემე

2. დღევანდელ ეკ პირობებში, როდესაც კოოპე ს რთად ერთი ეკონომიურ რვია, რომელიც ემსახუ და სოფლის ნაწარმო ერთ შორის გაცვლა-გამოცვლას, მას სჭირდება მეტი ყურადღება პარტიის მიერ, ვიდრე დღემდე ეთმობოდა. კოოპერატიულ ორგანოებს უნდა მიეცეს განსაკუთრებული შეღავათები სახელმწიფო ორგანოების მიერ. გადასახიდ საშუალებების ფასის დაკლებაში, კრედიტების გახსნაში, აქციზში და სხვა.

3. კრება აღიარებს, რომ არავითარ შემთხვევაში არ უნდა იქნას დაშვებული პარტიაში ფრაქციულობა. ამასთან არ უნდა იქნას დაშვებული დაუსაბუთებელი ეჭვიანობა ერთი ერთმანეთისადმი რაიმე საქმო საკითხის გარჩევის დროს. ყოველი გამოსვლებს შინაპარტიული დემოკრატიის შესახებ, უნდა მიეცეს საქმიანი ხასიათი და არავითარ შემთხვევაში არ უნდა გადაიქცეს პირადი კინკლაობის საგნათ.

კრება აუცილებელ საჭიროებათ სთვლის, რათა დაუყოვნებლივ გატარდეს ცხოვრებაში ეკონომიურ დარგში რ. კ. პ. ცეკას რეზოლიუციები, რომელიც დროული და მიზანშეწონილია.

ტფილისის ქალაქის უპარტიოთა კონფერენცია

კონფერენციის პირველი დღე.

კონფერენცია იხსნება ამხ. ჩოდრიშვილის სახელობის კლუბში 26 თებერვალს საღამოს 7 საათზე. პრეზიდიუმის არჩევის შემდეგ, ერთხმად იქნენ არჩეული საპატიო თავმჯდომარეებად შემდეგი ამხანაგები: რიკოვი, ელიავა, მახარაძე, ცხაკაია და ორახელაშვილი.

პრეზიდიუმის წინადადებით კონფერენცია ფეხზე ადგომით და მუსიკის სამგლოვიარო მარშით პატივს სცემს თავის ამხ. ლენინის ხსოვნას, რის შემდეგ ცხადდება კონფერენციის დღის წესრიგი: 1) მოხსენება საერთაშორისო მდგომარეობის შესახებ, 2) ზემო-ავჭალის ელსადგურის აშენების შესახებ, 3) პროფსაბჭოს მოხსენება სატარიფო-საეკონომიო საკითხის შესახებ, 4) შრომის სახ. კომისარიატის მოხსენება, 5) მრეწველობის მდგომარეობა საქართველოში. 6) მიმდინარე საკითხები.

პირველ საკითხზე მოხსენებას აკეთებს ამხ. მამია ორახელაშვილი. თავის სიტყვის შესავალ ნაწილში ის აცხადებს, რომ გამოდის კონფერენციის წინაშე არა როგორც ორატორი, არამედ როგორც მთავრობის წევრი და წარმოადგენს მთავრობის მოქმედების მოკლე ანგარიშს. შემდეგ ის აკეთებს საქ. კომპარტიის მოქმედების მოკლე მიმოხილვას გასაბჭოების დღიდან დღემდე, ეხება საქართველოს მეზობელ სახელმწიფოებთან და ავტონომიურ რესპუბლიკებთან დამოკიდებულებას და ხაზს უსვამს იმ განსხვავებას, რომელსაც ადგილი აქვს მენშევიკების და საბჭოთა ხელისუფლების მუშაობის და მის შედეგებს შორის.

შემდეგ ის აღნიშნავს იმ არნახულ შთაბეჭდილებას, რომელიც გამოიწვია ამხ. ლენინის გარდაცვალებამ და რომლის ზეგავლენით ასი ათასი დაზგასთან მდგარი მუშა სტიქიურად მოიშურება კომპარტიისაკენ.

მომხსენებელი გადადის ჩვენი რესპუბლიკების საერთაშორისო მდგომარეობაზე და ეხება ინგლისის მიერ საბჭოთა დიდი კავშირის იურიდიულ ცნობას.

დამარცხებულმა მტერმა იცნო ჩვენი ძლიერება. ინგლისს სხვა სახელმწიფოებმაც მიბაძეს. არ გაივლის დიდი ხანი და მთელი დედა-მიწა იცნობს პირველს პროლეტარულ სახელმწიფოს.

მოხსენების შესახებ წერილობითი შეკითხვებზე მომხსენებელმა დასაბუთებული პასუხი გასცა, რის შემდეგ პრეზიდიუმის წინადადებით დადგენილ იქნა—რეზოლიუციები გამოტანილ იქნეს კონფერენციის დამთავრების შემდეგ ერთად.

9 ნახ. საათზე კონფერენციის პირველი სხდომა დაიხურა.

მუშკორი ნ.

ეკონომიური ცხოვრება

ვალიუტის კურსი ტფილისში.

(29 თებერვალი)

ჩერვონცები	— —	4.020	მილ.
გირვ. სტერლინგ. ეფექტ.		3.690	„
„ ჩეკები	—	3520	„
დოლარი ეფექ.	—	877	„
„ ჩეკები	—	815	„
ოსმ. ქაღ. ლირა	—	543	„
იტალიური ლირა	—	36	„
ფრანგული ფრანკი	—	36	„
საბჭ. ფულის ნიშნები	—	16,5	„

მუშკოოპის ფასები.

(29 თებერვალი)

პური 1 ხარ.—30000 ათასი, პური 2 ხარ.—23,000 ათასი, ძროხის ხორცი—105,000 ათასი, ღორის ხორცი 105000 ათ. შაქარი რაფინადი 153.500 ათ., ფხვნილი შაქარი—112,000 ათ., კარტოფილი—10,000 ათ.

ტფილისის ბაზრის ფასები.

(29 თებერვალი)

პური 1 ხ.—45000 ათ., პური 2 ხარ.—25000, ძროხის ხორცი 140.000 ათ. ღორის ხორცი 140.000 ათ., შაქარი რაფინ. 160.000 ათ., შაქარი ფხვნილი 115,000 ათ., კარტოფილი 15.000 ათ.

ბირჟის მიწოდება.

(29 თებერვალი)

„ცენტროსოიუზ"-ის ჩაი; ცეილონის და ჩინეთის ჩაი, სახურავი რკინა, ნედლი აბრეშუმი, „ურალმეტ"-ის პროდუქცია, ნაწლევები (15,000 კონა), სპილენძი ფურცლოვანი, როსტოვის პაპიროსები, საშენებელი ლურსმნები, ტყავის ღვედები, ხორბალი და პურეული, შვეიცარული ყველი, კვებრახის ექსტრაქტი, რუსეთის მანუფაქტურა, ქიმიური ნაწარმოები, ფანჯრის მინა, კაუსტიური სოდა, ასანთი რუსული, სახ. მეურნ. საბჭ. საპნის და საფეიქრო ტრესტის პროდუქცია, (საპონი 1 ხარ. „პეტუხ", ტუალეტის, ნართავი, ოლიფას ზეთი და სხვ.), ცემენტი და ეტერნიტი, მატყლი (გარეცხილი), ქინაქინა, ჰიგროსკოპიული ბამბა, ფანქრები, ყავა „მოკკო", ტომრები, თხილი, ნიშადური, შაბიამანი, შაბი, გაზეთის ქაღალდი, კარტოფილის ფქვილი, ძირტკბილა, კარდონი, საექსპორტო ასანთი, ადგილობრივი ხორბალი, განჯის წითელი ღვინო.

ბირჟის მოთხოვნილება.

(29 თებერვალი)

რუსეთის მანუფაქტურა, შაბიამანი, შაქარი რაფინადი და ფხვნილი, „კოჟსინდიკატ"-ის პროდუქცია, სალამასი, მზესუმზირას ზეთი, ყუბანის ფქვილი, ასანთი რუს., თუჯის და რკინის ნატეხი, გოგირდი, ნედლი ტყავეულობა, პორტლანდიის ცემენტი, ყუბანის საკონდიტერო ფქვილი.

ოფიციალური ნარიხები.

ასანთი რუს.—8 მ. 10 კ. და 7 მ. 80 კ. 1000 კოლოფში, ფრანკო სად. ჯულფა (უაქციზოთ).

ფქვილი (პურის)—1 ხარ. ნოვოროსიის—4 მან. ფუთში, ფრანკო—გამყიდველის საწყობი.

მეცხვარეთა კოოპერატივი „მწყემსი"-ს თელავის განყოფილების კრება.

24 თებერვალს თელავის მუშათა კლუბის შენობაში შესდგა თელავის მაზრის რაიონული „მწყემსის" საბჭოს სხდომა, რომელსაც გარდა აუარებელი სტუმრებისა, დაესწრნენ საბჭოს 18 წევრი მეცხვარე და აგრეთვე ცენტრალურ გამგეობის თავმჯდომარე ამხ. ელისაბედაშვილი და წევრი ს. კუხალეიშვილი.

ეს საზეიმო კრება მოწვეულ იყო ქ. თელავში „მწყემსის" განყოფილების გახსნის მიზნით და ზოგიერთ ადგილობრივ საკითხების მოსაგვარებლად.

„მწყემსის" გამგეობის თავმჯდომარე ამხ. ელისაბედაშვილმა თავის მოხსენებაში გააცნო კრებას საზოგადოების ისტორია და აგრეთვე ვრცლად შეეხო მეცხვარეობის მდგომარეობას, როგორც ომიანობის წინა ხანებში, ასევე მიმდინარე მომენტში. „მწყემსს" საქართველოს ფარგლებში უკვე მოუწყვია 4 სარაიონო განყოფილება და შექმნის პროცესში იმყოფება კიდევ ორი. მდგომარეობა მეცხვარეობისა თანდათანობით უმჯობესდება და იგი ომიანობის წინა მდგომარეობას უსწორდება.

მოხსენების შემდეგ გაიმართა კამათი, რომელშიაც მონაწილეობა მიიღეს მეცხვარე თუშებმა.

განყოფილების გახსნა მიულოცეს და მიესალმნენ მწყემსებს ადგილობრივი ხელისუფლების და ორგანიზაციების წარმომადგენლები, რომელნიც დიდის თანაგრძნობით უყურებენ ამ დიდათ სასარგებლო დარგის განვითარებას მაზრაში და პირდებიან თავის მხრიდან მეცხვარეებს ყოველგვარ დახმარებას.

შემდეგ იქნა განხილული ზოგიერთი საორგანიზაციო საკითხები. სხვათა შორის გადაწყდა მონახულ იქნას უფრო შესაფერი ბინა განყოფილებისთვის და აგრეთვე საქონლიც ჩამოსულ წევრებისათვის, მათ ცხენებისათვისაც დაქირავდეს „მწყემსის" სახლი, რომელიც უნდა იქნეს მოწყობილი „გლეხის სახლის" მგზავსად.

ჩერვონცების და ა.-კავკასიის ბონების შეფარდება

(29 თებერვალი.)

ა—დი.

ჩერვ.	ბონით	ჩერვ.	ბონით.
1 კ.—	4.020.000	56 კ.—	225.120.000
2 კ.—	8.040.000	57 კ.—	229.140.000
3 კ.—	12.060.000	58 კ.—	233.160.000
4 კ.—	16.080.000	59 კ.—	237.180.000
5 კ.—	20 100.000	60 კ.—	241.200.000
6 კ.—	24.120.000	61 კ.—	245.220.000
7 კ.—	28.140.000	62 კ.—	249.240.000
8 კ.—	32.160.000	63 კ.—	253.260.000
9 კ.—	36.180.000	64 კ.—	257.280.000
10 კ.—	40.200.000	65 კ.—	261.300.000
11 კ.—	44.220.000	66 კ.—	265.320.000
12 კ.—	48.240.000	67 კ.—	269.340.000
13 კ.—	52.260.000	68 კ.—	273.360.000
14 კ.—	56.280.000	69 კ.—	277.380.000
15 კ.—	60.300.000	70 კ.—	281.400.000
16 კ.—	64.320.000	71 კ.—	285.420.000
17 კ.—	68.340.000	72 კ.—	289.440.000
18 კ.—	72.360.000	73 კ.—	293.460.000
19 კ.—	76.380.000	74 კ.—	297.480.000
20 კ.—	80.400.000	75 კ.—	301.500.000
21 კ.—	84.420.000	76 კ.—	305.520.000
22 კ.—	88.440.000	77 კ.—	309.540.000
23 კ.—	92.460.000	78 კ.—	313.560.000
24 კ.—	96.480.000	79 კ.—	317.580.000
25 კ.—	100.500.000	80 კ.—	321.600.000
26 კ.—	104.520.000	81 კ.—	325.620.000
27 კ.—	108.540.000	82 კ.—	329.640.000
28 კ.—	112.560.000	83 კ.—	333.660.000
29 კ.—	116.580.000	84 კ.—	337.680.000
30 კ.—	120.600.000	85 კ.—	341.700.000
31 კ.—	124.620.000	86 კ.—	345.720.000
32 კ.—	128.640.000	87 კ.—	349.740.000
33 კ.—	132.660.000	88 კ.—	353.760.000
34 კ.—	136.680.000	89 კ.—	357.780.000
35 კ.—	140.700.000	90 კ.—	361.800.000
36 კ.—	144.720.000	91 კ.—	365.820.000
37 კ.—	148.740.000	92 კ.—	369.840.000
38 კ.—	152.760.000	93 კ.—	373.860.000
39 კ.—	156.780.000	94 კ.—	377.880.000
40 კ.—	160.800.000	95 კ.—	381.900.000
41 კ.—	164.820.000	96 კ.—	385.920.000
42 კ.—	168.840.000	97 კ.—	389.940.000
43 კ.—	172.860.000	98 კ.—	393.960.000
44 კ.—	176.880.000	99 კ.—	397.980.000
45 კ.—	180.900.000	1 მ.—	402.000.000
46 კ.—	184.920.000	2 მ.—	804.000.000
47 კ.—	188.940.000	3 მ.—	1,206.000.000
48 კ.—	192.960.000	4 მ.—	1.608.000.000
49 კ.—	196.980.000	5 მ.—	2.010.000.000
50 კ.—	201.000.000	6 მ.—	2.412.000.000
51 კ.—	205.020.000	7 მ.—	2.814.000.000
52 კ.—	209.040.000	8 მ.—	3.216.000.000
53 კ.—	213.060.000	9 მ.—	3.618.000.000
54 კ.—	217.080.000	1 ჩერვ.	4.020.000.000
55 კ.—	221.100.000		

საქონლის ჭირი საქართველოში 1923 წ.

საქართველოს ტერიტორიაზე ნაწილობრივ წინა 1922 წლიდან დარჩა საქონლის ჭირი, ნაწილობრივ ის შემოტანილი იქნა მეზობელი ქვეყნებიდან, უმთავრესად აზერბეიჯანიდან და ჩრდილოეთ-კავკასიიდან.

1923 წლის განმავლობაში საქონლის ჭირი გამოჩნდა შემდეგ მაზრებში: ტფილისსა და ტფილისის მაზრაში, გორისა, ბორჩალოსი, ახალქალაქისა და დუშეთისაში.

სულ ამ ხუთ მაზრაში წლის განმავლობაში იყო 29 დაჭირიანებული პუნქტი, ე. ი. შედარებით წინა 1921 და 1922 წლებთან გაცილებით ნაკლები (1921 წელში იყო 39 პუნქტი, 1922 წელში—68 პუნქტი).

1923 წლის დაჭირიანებულ 29 პუნქტიდან მოდის:

ტფილისის მაზრაზე—13, გორისაზე—6, დუშეთისაზე—6, ახალქალაქისაზე—2, ბორჩალოსაზე—2, სულ 29.

აქედან ჩვენ ვხედავთ, რომ ყველაზე მეტად გავრცელებული ყოფილა საქონლის ჭირი ტფილისის მაზრაში, შემდეგ გორისაში, მას მისდევს დუშეთის მაზრა, ახალქალაქის და ბორჩალოსი.

ვიდრე ექიმი ვეტერინარი მივიდოდა და მიიღებდა ზომებს დაჭირიანებულ პუნქტზე ჭირის წინააღმდეგ, საინტერესოა, თუ რამდენი სული საქონელი გახდა ავად და მოკვდა დაჭირიანებულ მაზრებში ცალ-ცალკე და ერთად.

შემდეგი ცხრილი გვაძლევს ამის პასუხს.

	ავად გახ.	მოკვდა
1. ტფილ. მაზ.	348 ს.	192 ს.
2. გორის მაზრა	42 „	24 „
3. დუშეთის მაზრა	47 „	29 „
4. ახალქალაქის მაზ.	15 „	—
5 ბორჩალოს მაზ.	130 „	73 „
სულ	582	318

როგორც აღნიშნულ ცხრილიდან სჩანს, ხუთ მაზრაში ვეტ-ექიმის მიერ ზომების მიღებამდე ავად გამხდარა საქონლის ჭირისაგან 582 სული და მომკვდარა 318 სული.

ექიმ-ვეტერინარის მისვლამდე ბევრ საქონლის დაავადება და სიკვდილი დაჭირიანებულ პუნქტზე აშკარა მაჩვენებელია იმისი, რომ ან თვით ხალხს არ შეუტყობინებია ექიმ-ვეტერინარისთვის დროზე, ან და შეუტყობინებია და ექიმი ვეტერინარი რამე მიზეზით არ მისულებია თავის დროზე საქონელს; და მართლაც ყველა 29 პუნქტის ოქმი გვეუბნება, რომ განცხადება ხალხის მიერ საქონლის ჭირის გაჩენის შესახებ მოხდა დაგვიანებით, არა თავის დროზე. ხოლო თუ ამას დაუმატებთ სხვა მიზეზებსაც, როგორც, მაგალითად, ექიმ-ვეტერინართა სიმცირეს და გადასაზიდ საშუალებათა მოუწყობლობას, რომლებიც ხელს უწყობდენ ჭირის წინააღმდეგ დაგვიანებითად ზომების მიღებას, მაშინ ჩვენ თვალწინ გადაგვეშლება სურათი ხელისშემშლელ გარემოებათა, რომლებიც ჭირის საწინააღმდეგო ბრძოლას აბრკოლებდენ 1923 წელში და რომლების თავიდან აცილება უნდა შეადგენდეს სავეტერინარო სამმართველოს მორიგ ამოცანას.

საქართველო რომ განიცდის ექიმ-ვეტერინართა უკიდურეს სიმცირეს, ეს ლიტონი სიტყვა-კი არაა, არამედ ფაქტი.

საქართველოს 16 მაზრას დღეს ყავს 34 ექიმი-ვეტერინარი, ხოლო ტერიტორიის სივრცე უდრის 54 000 ოთხკუთხ ვერსს, მაშასადამე ერთი ექიმი-ვეტერინარი მოდის 15.88 ოთხკუთხ ვერსს, ანუ გასაგები ენით რომ ვსთქვათ, ექიმ-ვეტერინარი დაშორებულია ჩვენში სხვადასხვა სოფლებიდან ორთა შუა რიცხვით 30 და 40 ვერსის მანძილით, რაღა გასაკვირველია, რომ ასი დაშორებით მცხოვრებ ექიმ-ვეტერინარმა ვერაფერი სარგებლობა ვერ მოუტანოს ჩვენებურ სოფელს და მის მესაქონლეობას. აკი მართლაც ვხედავთ, რომ ვიდრე ექიმი-ვეტერინარი მიუშველიბოდა სოფელს, იქ აუარებელი საქონელი უკვე გასწყდა.

1923 წელში სავეტერინარო სამართველო ებრძოდა საქონლის ჭირს აცრით.

წლის განმავლობაში დაჭირიანებულ პუნქტებზე აუცრიათ ექიმ ვეტერინარებს 11.290 სული მსხვილფეხა საქონელი.

ქ. ტფილისში აიცრა	431	სული
ტფილისის მაზრაში	7883	„
გორისა	1401	„
დუშეთისა	876	„
ახალქალაქისა	699	„

სულ 11.290 სული

ყველაზე მეტია აცრილი ტფილისსა და ტფილისის მაზრაში, მას მისდევს გორის მაზრა, შემდეგ დუშეთის მაზრა, შემდეგ ახალქალაქისა. მარტო შრატით აიცრა 431 სული, დანარჩენი 10.859 სული აიცრა კომბინატიურის მეთოდით (სისხლითა და შრატით). აცრა არ მომხდარა მხოლოდ ბორჩალოს მაზრაში.

აცრის დროს დაჭირიანებულ სისხლის ამოსაღებათ მოიკლა:

ტფილისის მაზრაში	12	სული
გორისაში	7	„
დუშეთისაში	3	„
ახალქალაქისაში	1	„

სულ 23 სული.

აცრის შემდეგ მომკვდარა:

ტფილისში	14	სული	32	პროც.
ტფ. მაზრ.	150	„	2	პროც.
გორისაში	50	„	0,28	პროც.
დუშეთისაში	7	„	0,9	პროც.
ახალქალაქში	2	„	0,3	პროც.

სულ 223 სული ანუ 1,33 პროც.

აცრას საერთოდ კარგი შედეგი ჰქონდა, რადგან აცრილ 11.290 სულიდან მოკვდა მხოლოთ 223 სული საქონელი ანუ 1.33 პროც.

ოცდა ცხრა დაჭირიანებულ პუნქტში მხოლოთ ერთ პუნქტზე „ილფიაკოჯორზე" მოჰყვა ცუდი შედეგი აცრას, რადგან როგორც გამოირკვა, აქ ექიმ ვეტერინარს საქმე ჰქონდა შერეულ ინფექციასთან, ე. ი. ერთსა და იმავე დროს საქონელი იყო დაავადებული ჭირით და პიროპლაზმოზით. ამის გამო იქ დაიხოცა აცრის შემდეგ 451 სულიდან 122 სული ანუ 27 პროც.

ამცრელმა ექიმ-ვეტერინარმა ვერ შეამჩნია, რომ საქონელი პიროპლაზმოზითაც იყო ავად, რადგან პიროპლაზმოზი ჰქონდა საქონელს ფარულ სტადიაში, როცა არაფრით არ შეიძლება მისი შეტყობა.

როგორაც ზემო-მოყვანილ ცხრილებიდან სჩანს, საქონლის ჭირს 1923 წელში უმსხვერპლია 564 სული საქონელი, აქედან მომკვდარა:

აცრამდე	318	სული
აცრის შემდეგ	223	„
მოკლ. სასისხლეთ	23	„

სულ 564 სული.

ჩვენ ვფიქრობთ, რომ ეს რაოდენობა არ უნდა იყოს გამომხატველი ჭირისაგან ნამსხვერპლ საქონლის ნამდვილი რაოდენობისა. ბევრი მსხვერპლია ხალხისაგან დამალული, რადგან ბევრ ალაგას ხალხი ვეტერინარების ზომებს ეჭვით და უნდობლათ უცქერის ჯერეთ კიდევ და ამიტომ უარყოფს სავეტერინარო დახმარებას. ამიტომ, თუ ნაცვლათ 564 სულისა, ჩვენ დარგვალებით ავიღებთ 700, ეს რიცხვი უფრო იქნება სინამდვილესთან დაახლოვებული. ამგვარათ 1923 წელში საქონლის ჭირისაგან მიყენებული ზარალი საქართველოს მსხვილფეხა საქონლისადმი (გარდა აჭარისტანისა და აფხაზეთისა) განისაზღვრება 700 სული საქონლით. თუ ვიანგარიშებთ წვრილს და მსხვილს ორთაშუა რიცხვით 35 მანეთათ ბაჯაღლოთი, ჩვენ მივიღებთ 24.500 მანეთს ბაჯაღლოთი, მაშასადამე საქონლის ჭირისაგან მიყენებული ზარალი 1923 წელში უდრის 24.500 მანეთს ბაჯაღლოთი.

წლიურათ 700 სული საქონლის დაკარგვა მარტო ერთი ჭირისაგან იმ ხალხისათვის, რომლის მსხვილფეხა საქონლის რაოდენობა დაახლოვებით უდრის ერთ მილიონს სულს, ვფიქრობთ, უნდა სამძიმო იყოს და აუტანელიც.

მიწათმოქმედების სახალხო კომისარიატმა უნდა უსათუოდ მიიღოს ყოველგვარი ზომები, რომ თავიდან ააცდინოს გლეხის ოჯახებს და სახელმწიფოს ასეთი ზარალი.

არ ვამბობთ, რომ სავეტერინარო სამმართველო არ იღებდეს სათანადო ზომებს ჭირის წინააღმდეგ, ჩვენ მხოლოთ გვინდა მიუთითოთ მას იმ დეფექტებზე, რომლებიც აქვს ახლანდელ ჭირის საწინააღმდეგო ბრძოლას.

მიწათმოქმედების სავეტერინარო სამმართველოს სასახელოთ უნდა ითქვას, რომ მან საძირკველი ჩაუყარა ჭირის საწინააღმდეგო შრატის დამამზადებელ სადგურს, რომელიც ამზადებს საკმაო შრატს საქართველოსათვის, მაგრამ ამავე დროს საჭიროა აღდგენილ იქნას დასაჩუქრება დაზარალებულ ოჯახებისა, რომლებსაც აცრის შემდეგ დაეხოცათ საქონელი. დიდ რევოლიუციამდე სახელმწიფო უნაზღაურებდა მესაქონლეებს საქონლის ჭირისაგან მიყენებულ ზარალს და ეს კანონი ერთგვარი წამახალისებელი იყო ყველა მესაქონლესათვის, რომ თავის დროზე განეცხადებინა ჭირის გაჩენა და თავის დროზე მიღებულიყო მის წინააღმდეგ ზომები. რევოლიუციის შემდეგ ეს კანონი გაუქმდა, ე. ი. სახელმწიფო არ უნაზღაურებს გლეხს ჭირისაგან მიყენებულ ზარალს და გლეხიც პასუხს არ აგებს ჭირის დამალვაზე, არ განუცხადებლობაში. ამის გამო ჭირთან ბრძოლას დღეს ისეთი კარგი ნაყოფი აღარ მოაქვს, როგორიც მას მოჰქონდა წინეთ.

საჭიროა დაკანონდეს სავალდებულო აცრა, სავალდებულო განცხადება და ანაზღაურება ჭირისაგან მიყენებულ ზარალისა სახელმწიფო სალაროდან. გარდა ამისა, სავეტერინარო პერსონალი უნდა მიზანშეწონილად განაწილდეს რესპუბლიკაში. დღეს სავეტერინარო პერსონალი თავმოყრილია იქ, საცა ის ნაკლებათ საჭიროა; მაგალითათ ქ. ტფილისში 16 ექიმი-ვეტერინარია, მთელს რესპუბლიკაში—კი მარტო 36.

რაოდენობა ექიმ-ვეტერინართა მაზრებში უნდა გადიდდეს ერთი სამათ, ე. ი. ნაცვლათ 36-სა უნდა იყოს 100.

უნდა ადგილობრივ მაზრებში მოეწყოს პირუტყვთა სამკურნალოები, საცა გლეხობა მიიღებს თავიანთ პირუტყვთათვის სავეტერინარო დახმარებას.

ექიმი-ვეტერინარი მირიანაშვილი.

საკრედიტო დაწესებულებანი საქართველოსა და ა.-კ. რესპუბლიკებში

5. სასოფლო-სამეურნეო ბანკები.

ა/კ. ცენტრ. აღმასკომის 1923 წ. 22 ივნისის დადგენილებით და შესდგენილ იქნა ა/კავკასიის და რესპუბლიკანური კომიტეტები სასოფლო მეურნეობის და სასოფლო-სამეურნეო მრეწველობის ხელის შესაწყობად. რესპუბლიკანურ კომიტეტებს წინადადება მიეცათ ა/კავ. ტის ხელმძღვანელობით და კო ქვეშ შეუდგენ სასოფლო-სამეურნეო კრედიტისათვის რესპუბლიკანური ბანკების მოწყობას საქართველოსა, სომხეთსა და აზერბეიჯანში.

სასოფლო-სამეურნეო ბანკის მიზანია: გლეხური მეურნეობისათვის ყოველგვარი საწარმოო საშუალებების და იარაღების მოწყობა, სესხის მიცემა გლეხური მეურნეობის გასაძლიერებლად და გასაფართოვებლად, სასოფლო მეურნეობის პროდუქციის ღირსებისა და რაოდენობის ამაღლებლად; სასოფლო მეურნეობის პროდუქციის რეალიზაცია—გასაღება ან კრედიტის მიცემით ან შუამავლობის გაწევით; დასასრულ, უკვე არსებულ კოოპერატივთა და კოოპერატიულ გაერთიანებათა საკრედიტო ოპერაციების ორგანიზაციისთვის ხელის შეწყობა და აგრეთვე სასოფლო-სამეურნეო პროდუქტების დამამუშავებელ ტეხნიკურ წარმოებათა ფინანსიური დახმარება.

ბანკს აგრეთვე ენიჭება უფლება გრძელვადიანი სესხის გაცემისა ასეთ ოპერაციისთვის ცალკე გადადებულ თანხიდან. ბანკი გრძელვადიან სესხს იძლევა განსაზღვრული მიზნისათვის, როგორც მაგალითად, მელიორაციული მუშაობის გასაჩაღებლად ან სხვა კაპიტალური მშენებლობისათვის—სოფლის-მეურნეობის, სასოფლო-სამეურნეო, სასოფლო-სამრეწველო და მომხმარებელთა კოოპერაციის ასაღორძინებლად. ბანკის ძირითადი თანხა შესდგება დამფუძნებელი პაებიდან, წვრილი გლეხური პაებიდან, რ. ს. ფ. ს. რ. ფინ. სახ. კომ. დოტაციიდან—სულ 700.000 ოქროს მანეთის რაოდენობით.

შემუშავებული ნორმალური წესდება აძლევს წვრილ გლეხური პაის მქონებელს მთელ რიგ შეღავათებს და უპირატესობას სხვა დანარჩენ მონაწილეებთან შედარებით: მაგ.,—მთავრობის გარანტიას გლეხური პაის დივიდენდისათვის ბანკის არსებობის პირველ წლებში, სესხის პირველ რიგში მიღების პირველ რიგშივე დაკმაყოფილების უფლებას. თუ საზოგადოების ლიკვიდაცია მოხდება, სასოფლო-სამეურნეო გადასახადების გადახდის ვადის გაგრძელება გადასახადის გადამხდელთა პაებით უზრუნველყოფის ქვეშ, ეს შეღავათი და უპირატესობანი ეხება მხოლოდ წვრილი გლეხური პაების იმ მქონებელთ, რომელნიც ფაქტიურად თვითონვე ეწევიან და უძღვიან სასოფლო-მეურნეობას.

რესპუბლიკების ბანკების გამგეობები იმოქმედებენ ტფილისში, ბაქოში და ერევანში. ბანკები ყველგან გაიხსნება ამ მოკლე ხანში. და მოსალოდნელია, რომ მომავალ თესვითი კამპანია ჩატარდება ბანკების მიერ ხელისშეწყობით და აქტიური მონაწილეობით.

6. საკრედიტო კოოპერაცია.

სასოფლო-მეურნეობის და შინამრეწველობის (**Кустарная промышленность**) განვითარებელი პირობების გასაუმჯობესებლად სავალიუტო სამმართველოში მუშავდება საკრედიტო კოოპერაციის შესახებ დადგენილებათა პროექტი, რომლის თანახმად შესაძლებელი ხდება ა/კ. ს. ფ. ს. რ. ცალკე მოქალაქეთა გაერთიანება საკრედიტო და ფულის შემნახველ კოოპერატიულ ამხანაგობათა და მათ კავშირთა მოსაწყობად.

ამხანაგობის დანიშნულებაა შეადგინოს თავის ცალკე წევრთა თანხების შეგროვება-გაერთიანება სასოფლო-სამეურნეო ინვენტარის, ხელსაწყო საამშენებლო და ნედლი მასალის შესაძენად; საერთოდ მისი მიზანია, სამსახური გაუწიოს მეურნეობის მსხვილ საჭიროებას, რომლის დაკმაყოფილება თვითეულს ცალკე წევრს არ შეუძლია.

კოოპერატიულ ამხანაგობათ ნება მიეცემათ იკისრონ შუამავლობა თავიანთი წევრების სამეურნეო პროდუქციების გასაღების საქმეში. საკრედიტო კოოპერაციის წარმატებითი მუშაობა ხელს შეუწყობს ჩვენს მეურნეობის წინსვლას.

სესხის შემნახველ კოოპერატიულ ამხანაგობათა ნორმალურ წესდებათა დამუშავება და მათი მოქმედების თვალყურის დევნება დაეკისრება ა/კ. ფინ. სახ. კომ-ის სავალიუტო სამმართველოს.

7. საკრედიტო დაწესებულებათა მეთვალყურეობა.

იმ მიზნით, რომ წარმოებულიყო ყველა საკრედიტო დაწესებულებათა მიერ ერთი მთლიანი საკრედიტო პოლიტიკა მთელ ა/კავ. მასშტაბით, ა/კ. ფინანსთა სახალხო კომისარიატს ევალება ყველა სახელმწიფო საკრედიტო დაწესებულებათა ხელმძღვანელობა და მათი მოქმედების კონტროლი, აგრეთვე ამავე უწყებასვე აქვს დაკისრებული საზოგადოებრივ და კერძო საკრედიტო დაწესებულებათა მოქმედების მეთვალყურეობა.

მთავრობის დადგენილების თანახმად გამოსუშავებულია ინსტრუქცია საკრედიტო დაწესებულებათა მეთვალყურეობის წესების შესახებ ა/კ. რესპუბლიკების ფარგლებში. ამ წესების ძალით ყოველი საკრედიტო დაწესებულება მოვალეა გატარდეს სავალიუტო სამმართველოში და რეგულიარულად წარუდგინოს მას თავისი ბალანსები და ანგარიშები.

სავალიუტო სამმართველოს ენიჭება უფლება საჭიროების მიხედვით დაანიშვნიოს ფინ. სახ. კომისარიატს თავის წარმომადგენელი საკრედიტო დაწესებულების გამგეობასა, ან საბჭოში.

ფინ. სახ. კომ-ის ნებართვით სავალიუტო სამმართველო ახდენს საკრედიტო დაწესებულებათა ფაქტიურ რევიზია-დათვალიერებას და წესდების დარღვევის ან სხვ. ბოროტმოქმედების აღმოჩენის დროს იღებს ზომებს შენიშნული დეფექტების გამოსასწორებლად.

პროფკავშირებში

რკინისგზელთა კავშირში

რკინისგზელთა ტფილისის საუბნო პროფკავშირში.

რკინისგზელთა ტფილისის საუბნო პროფკავშირმა დაამთავრა პროფმუშაობის გასინჯვა და პროფრწმუნებულების გადარჩევა თავის რაიონის ხაზზე: კახეთის, გორის და ერევნის ხაზებზე.

რკინის გზის მუშების საზეიმო კრება საქართველოს გასაბჭოების 3 წლის თავის აღსანიშნავად.

ორშაბათს, 25 თებერვალს ორჯონიკიძის სახელობის კლუბში შესდგა ა.-კ. რკინის გზათა სამმართველოს მუშების და მოსამსახურეების მიტინგი წითელარმიელებთან ერთად, რომელზედაც ამ. ვარძიელმა მოხსენება გააკეთა საქართველოს გასაბჭოების 3 წლის თავის შესახებ, მომხსენებელმა დაწვრილებით გააშუქა საქართველოს როგორც ეკონომიური, ისე პოლიტიკური აღორძინება, რომელიც შედეგია საბჭოთა ხელისუფლების მუშაობის საქართველოში 3 წლის განმავლობაში.

ამის შემდეგ ბევრი უპარტიოთაგანი გამოვიდა სიტყვით იმავე თემაზე: ამხ. ამხ. ბერიონმა და დეკაპრილევიჩმა. უპარტიოებმა კი წაიკითხეს 25 თებერვლისათვის მიძღვნილი საკუთარი ლექსები. კრების დასასრულ ერთხმად მიღებული იქნა შემდეგი რეზოლიუცია:

„მოვისმინეთ რა ამხ. ვარძიელის მოხსენება საქართველოს გასაბჭოების 3 წლის თავის შესახებ, ა.-კ. რკინის გზათა სამმართველოს მუშების და მოსამსახურეების საერთო კრება აღნიშნავს საბჭოთა რესპუბლიკების განსაკუთრებულ მდგომარეობას მათი ეკონომიური აღორძინების და მასების კულტურული დონის ამაღლების მხრივ; კრება იღებს რა მხედველობაში იმ პოლიტიკურ სიტუაციას, რომელმაც აიძულა ევროპა, პირველ რიგში ინგლისი, იტალია და ნორვეგია, ეცნო იურიდიულად საბჭოთა რესპუბლიკების კავშირი; ერთხელ კიდევ აღვნიშნავთ დრომოჭმულ კაპიტალისტურ-იმპერიალისტური ქვეყნიერების, მენშევიკური და სხვა „დემოკრატიული" პარტიების დამპალ პოლიტიკის გაკოტრებას, კრახს იმ დროს, როდესაც მხოლოდ საბჭოთა რესპუბლიკების კავშირის პოლიტიკას მიჰყავს კაცობრიობა სახელოვან მომავლისაკენ, დაჩაგრულთა და დამონებულთა განთავისუფლებისაკენ. საქართველოს გასაბჭოების 3 წლის თავზე, ჩვენ მოწმენი ჩვენი რესპუბლიკის ეკონომიური და პოლიტიკური აღორძინებისა, ვადარებთ რა საქართველოს პროლეტარიატის და მშრომელთა მდგომარეობას მენშევიკების დროს და ამჟამად ერთხელ კიდევ ხაზს უსვამთ ჩვენი მუშათა და გლეხთა საბჭოთა ხელისუფლების როგორც საშინაო, ისე საგარეო პოლიტიკას სისწორეს,—იმ ხელისუფლების, რომელსაც შეუდრეკლად მივყავართ ჩვენი ქვეყნის აღორძინებისაკენ".

საბჭოთა სასამართლოში

ვერგუნის საქმე

23 თებერვალს აღმოსავლეთ-საქართველოს საოლქო სასამართლოში, ამხ. კაპარავას თავმჯდომარეობით მოსმენილ იქნა ვერგუნის საქმე; უკანასკნელს ბრალი ედებოდა ძარცვაში.

საბრალმდებლო ოქმში საქმე ამ გვარად არის ნაჩვენები: შარშან 16—17 ოქტომბერს ღამით, კომპანია 4 კაცის შემადგენლობით თავს დაესხა მოქ. თუმანოვების ბინას, რომელიც მდებარეობდა რკინის-გზის ხაზს იქით, მოახდინა ძარცვა და გაიტაცა სხვადასხვა საოჯახო ნივთები.

ბრალდებულმა ვერგუნმა თავი დამნაშავეთ არ აღიარა და განუცხადა სასამართლოს, რომ მას წინად მისჯილი ჰქონდა იძულებითი სამუშაო და მუშაობდა ზემო-ავჭალაში. ასრულებდა რა იქ წყლის ამდუღებლის ვალდებულებას.

15, 16 და 17 თებერვალს ავჭალაში მუშაობდა განმტვირთავი კომისია, გამოირკვა, რომ რამდენიმე დაპატიმრებულთაგანი, მათ შორის ბრალდებულიც, განთავისუფლებული იქნებიან. 17 თებერვალს დილით იძულებითი მომუშავენი გადაიყვანეს ციხეში, ხოლო იქიდან ვერგუნი სხვებთან ერთად განთავისუფლებულ იქნა. ციხიდან ის წავიდა თავის მეგობართან, შემდეგ კი გაემგზავრა არსენალში, სადაც წინად მუშაობდა. იმავე საღამოს ვერგუნი დაპატიმრებული იქნა.

მოწმეებმა—მოქ. თუმანოვების მეზობლებმა პირისპირ წაყენების დროს ბრალდებული მძარცველად არ ჩასთვალეს. დაზარალებული თუმანოვები კი ამტკიცებენ, რომ ბრალდებული არის გაძარცვის ერთ-ერთი მონაწილეთაგანი.

ამავე დროს მოწმეები გოქსაძე და ცინცაძე იძულებითი სამუშაოების გამგეები, კატეგორიულად ამტკიცებენ, რომ ბრალდებული ვერგუნი 15, 16 და 17 თებერვალს იმყოფებოდა ზემო-ავჭალაში და სინდისიერად ასრულებდა დაკისრებულ მოვალეობას.

პროკურორი გუბელაძე უარს ამბობს ბრალდებაზე, დამცველი ა. მაისურაძე ემყარება ბრალდების უსაფუძვლობას და სთხოვს სასამართლოს ბრალდებულის სრულიად გამართლებას.

სასამართლომ საათნახევრის თათბირის შემდეგ გამოიტანა ვერგუნის გამართლების განაჩენი.

მუშათა ცხოვრება

ზემო-ავჭალის მუშათა კლუბი „მუშა და გლეხი“.

ზემო ავჭალის ჰიდრო-ელსადგურის სამუშევრების წლის თავზე ადგილობრივმა მუშათა კომიტეტმა გახსნა საკუთარი კლუბი „მუშა და გლეხი“-ს სახელწოდებით, რომელშიაც მუშაობა მიმდინარეობს პროლ.-კულტურის მეთოდით. კლუბს ჰყავს ადგილობრივი დრამატიული წრე, რომლის შემადგენლობა მუშურია და ნაყოფიერად აწარმოებენ მუშაობას. მიუხედავად მრავალი დაბრკოლებებისა ხსენებულ კლუბის დრამატიულ წრეს, არა მგონია, რომ ვინმემ უსაყვედუროს იმაში, რომ იგი ამახინჯებდეს ხელოვნებას, როგორც ეს ხდება პროვინციებში, თუ სხვაგან. სამწუხაროდ, კლუბი და თეატრი ერთიანია და მაინც ვერ იტევს სამას-ოთხას კაცზე მეტს. როდესაც ელსადგურის სამუშაოზე ორი ათას კაცზე მეტი მუშაობს და სწორედ ეს გარემოება იწვევს იმ არასასიამოვნო მდგომარეობას, რომ წარმოდგენის დროს ზღვასავით აწყდება თეატრის კარებს ახლათ გაღვიძებული ჩვენი გლეხკაცობა. კლუბს აქვს სამკითხველო ე. ნინოშვილის სახელობაზე, რომელშიაც მოიპოვება კარგი შინაარსის წიგნები. სამკითხველო დღესდღეობით იწერს მუშებში გასანაწილებლად 100 ცალამდე ყოველდღიურ გაზეთებს მაგ: „მუშა“-ს 17 ცალს, „კომუნისტ“-ს 26 ც., „რაბოჩაია პრავდა“-ს 36 ცალს, „ზარია ვოსტ.“—11 ცალს, „მარტაკოჩ“-ს და სხვას. კლუბთან არის როგორც წერა-კითხვის სალიკვიდაციო წრე, აგრეთვე მე-2 საფეხურის სკოლა. კლუბმა მიიღო საუკეთესო როიალი „კომზაჰესიდან“, რაც ნიშნავს ადმინისტრაციის და მუშების ურთიერთ სოლიდარობას. ახლო მომავალში ამშენებელთა კავშირის დახმარებით უნდა შევიძინოთ საკუთარი კინო-აპარატი, რომელიც მეტ ნაყოფს მოუტანს ზაჰესის მუშებს, როგორც სხვადასხვა ეროვნების შემადგენლობით ერთ საქმეზე მომუშავეთ. კლუბთან არსდება შემდეგი წრეები: მუსიკალური, ანტირელიგიოზური, ტანთვარჯიშობის, მომღერალთა გუნდი, პროფესიონალური, ესტეტიური აღზრდის, ტეხნიკური, პოლიტიკური განვითარების და ლიტერატურული, კედლის გაზეთი, გამოფენა, და სხვა. სასურველია, რომ ხანგამოშვებით მაინც ტფილისიდან მუშა-მსახიობებმა მოაწყონ წარმოდგენები, როდესაც საუკეთესო დრო ხელთ გვაქვს გლეხების და მუშების თავის მოყრით უდიდეს წარმოებაზე, როგორიც არის ზაჰესი. ვუსურვებთ ჩვენს კულტ.-მუშაკებს გამარჯვებას, რომ თითით საჩვენებელი გახდნენ პროლეტარულ კულტურის საქმეში.

მუშკორი შალიკო.

სინათლე მოგვეცით

(ქალ. ალმასკომის საყურადღებოდ).

ხაზგასმით აღსანიშნავია ქალ. ალმასკომის კომუნალური განყოფილების ენერგიული მუშაობა ტფილისის მეურნეობის აღორძინების სფეროში. ქალ. ალმასკომი თვალყურს ადევნებს და სათანადო ანგარიშს უწევს ჩვენი გაზეთების ფურცლებზე მუშების მიერ წამოყენებულ საკითხებს.

ბევრად გაუმჯობესებულია მდგომარეობა ტრამვაის, წყალსადენის, „უესის“, „უქსის“ და სხვა.

მაგრამ ამასთან ერთად არ შეიძლება კომუნალურ განყოფილების და კერძოდ „უესის“ ყურადღება არ მივაქციო **მთაწმინდის რაიონს**, რომელიც არ არის განათებული; სრულ სიბნელეშია **უიფიანის, პრიუტის, ვეძინის და სხვა ქუჩები.** ამ უბანში სცხოვრობენ მშრომელი ელემენტები, რომლებიც ძლიერ გატანჯული არიან უსინათლობისა გამო. მიაქციეთ ამ გარემოებას ყურადღება და ახლო-მომავალში გაანათეთ ამ უბნის ქუჩები, რითაც აგვაცდენთ ბევრგვარ უბედურებას.

მუშკორი ათანასე—ძე.

გაუსწორებელი ლოთი

(„ზარია ვოსტოკას“ სტამბის ადგილკომის საყურადღებოდ).

ყველამ კარგად ვიცით, გარდა გაუსწორებელი ლოთებისა, თუ რა მავნეა მუშათა ჯანმრთელობისათვის და საზოგადოთ ყველასათვის ნამეტარი გადაჭარბებული ღვინის სმა. ამ მხრით პირდაპირ შავ დაფაზეა დასაწერი გაზ. „ზარია ვოსტოკა“-ს სტამბის მუშა ასოთ-ამწყობი საწყობი მანქანებისა გ. გრიგორიევი. ის არის კვალიფიკაციური საუკეთესო მუშა, რომ ეს ნაკლი ლოთობა და მასთან დაკავშირებული დღეების გაცდენა—მას ჩვეულებად არ ჰქონდეს გადაქცეული. სარგებლობს რა მით, რომ მის მოადგილეს ადმინისტრაცია აქ ვერ იშოვნის, ის ბოროტად იყენებს ამხანაგების ნდობას; წარსულ თებერვლის ნახევარში მან გააცდინა სამი დღე ზედი ზედ; ეხლა კიდევ მანვე გააცდინა 26 და 27 თებერვალი ერთად; ეს იწვევს ამხანაგების დატვირთვას, რომელთაც უხდებათ მის მაგიერ ორმაგი მუშაობა დაუსვენებლად, რაც ჯანმრთელობის მხრით ყოვლად დაუშვებელია; გარდა ამისა გრიგორიევს რამდენჯერმე მისცა გაფრთხილება ადგილკომმა, რომ მას შემდეგში დღეები არ გაეცდინა; აგრეთვე საზოგადო კრებამ ახალი ადგილკომის არჩევნების დროს დაადგინა სასტიკად ებრძოლოს დღეების გაცდენას და ლოთობას; მისაღებია კიდევ ისიც მხედველობაში, რომ ადგილკომს შინაური წესიც აქვს შემუშავებული და გამოკრული ყველა განყოფილებებში ამის შესახებ.

მიუხედავად ყველა ამისა, გ. გრიგორიევი მაინც განაგრძობს თავისას, ჩვეულებას ვერა სტოვებს და ხანდახან სტამბაშიაც კი შემოივლის შეზარხოშებული და ბუქნას უვლის. სწორედ საცოდავ მდგომარეობაშია მისი ცოლშვილი მისი ლოთობის გამო; სწორედ ასეთი ამხანაგები ცუდ გავლენას ახდენენ მოზარდ თაობაზე როგორც ოჯახში, ისე წარმოებებშიც.

ეს უნდა მიიღოს მხედველობაში ამხ. გრიგორიევმა ერთხელ და სამუდამოთ გამოფხიზლდეს და დაჰგმოს ეს საზიზღარო ჩვეულება.

იქაური მუშა.

გამოგზავნილ წერილებიდან

კიდევ ასი მეთამბაქოე მუშა ეწერება დიდი ილიჩის პარტიაში

ა. წ. 16 თებერვალს ამხ. **როზა-ლიუქსემბურგის** სახელობის თამბაქოს ფაბრიკაში შესდგა ადგილობრივ მუშა-მოსამსახურეთა საერთო კრება, სადაც მოხსენება გააკეთა **დაუვიწყარი ილიჩის** მოძღვრებაზე და მისი დაუღალავ რევოლიუციონურ მოღვაწეობის შესახებ ამხ. ლომინაძემ.

მუშები მოხსენების გამო მიღებულ რეზოლიუციაში ფიცსა სდებენ, რომ ისინი მტკიცედ შეასრულებენ სახელოვნად ღ ღირსეულად ამხ. **ლენინის** ნაანდერძევს, რისთვისაც არ დაიშურებენ არავითარ ენერგიას და პირად კეთილდღეობასაც კი.

დასასრულ ასი მეთამბაქოე მუშა გამოსთქვამს მხურვალე სურვილს დაუყოვნებლივ ჩაიწეროს **ილიჩის პარტიაში.**

მუშა-მეთამბაქოე—უნგიაძე.

მბეჭდავთა კლუბში არ არის დაცული წესრიგი

(მბეჭდავთა კავშირის საყურადღებოდ).

ამ კლუბში მოსიარულენი, სამწუხაროდ, არ იცავენ არც წესრიგს და არც სისუფთავეს თვით კლუბის შენობაში. წარმოდგენების და კონცერტების დროს საშინლად ხმაურობენ და ზოგიერთები კი იგინებიან და ხელს უშლიან პატიოსან მუშა-მაყურებლებს. სხვებისთვის კი ესეც არ კმარა. ისინი აქ მზესუმზირას სჭამენ, იქვე ჰყრიან და აბინძურებენ კლუბს.

საჭიროა ამ უწესრიგობას და უსუფთაობას დაუყოვნებლივ ბოლო მოეღოს.

მუშა-მეთვალყურე.

ელექტრონის განათება საშინლად მწირობს

(ალმასკომის საყურადღებოდ).

ვინ არ იცის, რომ მუშის საარსებო ბიუჯეტი ძალიან მცირეა და ამ საშინელი სიძვირის და ბონების კურსის ჯერ უნახავ მერყეობის დროს მუშა-მოსამსახურის შრომის ხელფასი სულ უმნიშვნელო ხდება. ამას მიუმატეთ ბინის, წყლის, კავშირის და კიდევ სხვა გადასახადები და მაშინ თქვენ ცხადად დაინახავთ, თუ რა მდგომარეობაშია აწჟამად ჩვენი მუშების საარსებო ბიუჯეტი—მინიმუმი.

ბურჟუები გაცხრომაში არიან ძველებურად და ჩვენ კი **ელექტრონის განათების შეძლებაც არა გვაქვს. მოგვეცით** ჩვენც, მუშა-მოსამსახურეთ განათება დაკლებულ ფასებში ჩვენი ჯამაგირებთან შეფარდებით.

მუშა-მელითონეშვილი.

ჩვენი მუშების წერილები მიზანს აღწევენ

(ალმასკომის პასუხი).

შესახებ წერილისა, რომელიც მოთავსებული იყო გაზ. „კომუნისტი“-ს მე-16 ნომერში სათაურით—**„კიდევ მუშფაკის საერთო ბინაზე“** ქალ. ალმასკომის უძრავ ქონებათა სამმართველომ მომართვით ა. წ. 15 თებერვლიდან 1144 ნომრით შეგვატყობინა, რომ პროლეტარულ სტუდენტთა ბიუროს, სტუდენტთა საერთო საცხოვრებელ ბინებისათვის, ალმასკომის მცირე პრეზიდიუმს ა. წ. 1 თებერვლის სხდომის ოქმის № 10 დადგენილების თანახმად, გადაეცა ორი სასტუმრო „ბრიტანია“ და „იტალია“.

ალმასკომის ინფორმატორი დ. ვარდოსანიძე.

მუშათა ქრონიკა.

— დღეს, საღამოს 8 საათზე სანიტარულ განათლების თეატრში მუშა-მოსამსახურეთათვის (ევანგულოვის ქ. № 12) დადგმულ იქნება პიესა „შხამი“. პიესა მიმართულია ლოთობის წინააღმდეგ ქართულ ენაზე.

ლოთობასთან ბრძოლა ჩვენი პირდაპირი მოვალეობაა. მოუწოდებთ ამხ. მუშკორებს ამ პიესას უკლებლივ დაესწრონ. შესვლა მუშკორებისათვის უფასოა.

მუშა-კორესპონდენტთა ბიურო.

იურიდიული დახმარება ამხ. მუშებს.

წყალსადენის მუშას.

კითხვა: უწინ მე ვიღებდი შრომის ხელფასად თვეში საქონლის 30 მანეთამდე, ამ ჟამად შრომის ხელფასად ვიღებ ჩერვონეცის 55 მანეთამდე, გთხოვთ მაცნობოთ, ვალდებული ვარ თუ არა მე გადავიხადო საშემოსავლო გადასახადი და თუ ვალდებული ვარ, რა რაოდენობით უნდა გადავიხადო ასეთი?

პასუხი: ა. წ. 11 თებერვლიდან **საშემოსავლო გადასახადების შესახებ გამოქვეყნებულ დეკრეტის თანახმად** (იხ. „ზარია ვოსტოკა“ № 502, 13 თებერვალი) თქვენც და **ყველა ის მუშა-მოსამსახურენი, რომელნიც თვიურად იღებენ ჩერვონეცის 75 მანეთზე ნაკლებს, სრულიად განთავისუფლებულნი არიან საშემოსავლო გადასახადისაგან.** თუ რაიმე გაუგებრობას თქვენ მიმართ აქვს ადგილი, დაუყოვნებლივ მიმართეთ სათანადო საგადასახადო ინსპექტორის კანცელარიას შეცდომის გამოსასწორებლად.

მუშა ასოთ-ამწყობს.

კითხვა: აგერ თვეა, რაც ცოლი ავად გამიხდა მშობიარობის გამო; საავადმყოფოში იგი ვერ მოვათავსე უადგილობის მიზეზებით, სახლში კი ჩემს გარდა მისი მომვლელი არავინ მყავდა და მე იძულებული გავხდი დროებით სამსახურისთვის მიმენებებინა თავი; ეხლა მინდა ვიცოდე, მაქვს თუ არა უფლება და საიდან მოვითხოვო ჩემი თვიური გასამრჯელო?

პასუხი: თანახმად ამიერ-კავ. სოციალ. რესპ. საკავშ. საბჭოს მუშა-მოსამსახურეთა სოციალ. დაზღვევის შესახებ გამოქვეყნ. დეკრეტისა 1922 წ. 23 აგვის. თქვენ გაქვთ სრული უფლება მიიღოთ თქვენი თვიური გასამრჯელო უკლებლად—ადგილობრივ დამზღვევ კასიდან, თუ კი თქვენ ამ უკანასკნელს წარუდგენთ სათანადო საბუთს, სადაც დადასტურებული იქნება—1) თქვენი მეუღლის ავადმყოფობა, 2) ის ფაქტი, რომ საავადმყოფოში იმისთვის არ აღმოჩნდა თავისუფალი ადგილი და 3) რომ მას თქვენს გარდა არავინ ჰყავს მომვლელი.

მეცნიერება და ტეხნიკა

რას წარმოადგენენ ვარსკვლავები

მრავალი საუკუნე დასჭირდა ადამიანს, რომ შეესწავლა მზის სისტემის პლანეტთა ოჯახი, რომელსაც ჩვენი დედამიწაც ეკუთვნის. ეს გამოკვლევა ჯერაც კიდევ არ დამთავრებულა; მაგრამ მაინც ეს პლანეტები შეგვიძლია ჩავთვალოთ ცოტათ თუ ბევრათ გაცნობილათ როგორც მათი მოძრაობის, ისე მათი ფიზიკური თვისებების მხრივ. სულ სხვანაირ მდგომარეობაში ვართ ჩვენ, როცა ვარსკვლავებზე ვიწყებთ ლაპარაკს.

და ეს ადვილი გასაგებიც არის. ვარსკლავები ჩვენგან უფრო შორს არიან, ვიდრე მზის სისტემის პლანეტები; ამას გარდა მათი რიცხვი დიდია (პლანეტების რიცხვი შედარებით მცირეა) და ისინი არ წარმოადგენენ ისეთს, შედარებით მარტივ სისტემას, როგორც პლანეტების ოჯახი.

ამიტომ საჭირო დარჩა ხანგრძლივი თვალყურის დევნება, მათი შესწავლა დიდი ხნის განმავლობაში, გაუმჯობესებული ტეხნიკით სარგებლობა, მათთვის თვალყურის დევნების განსაკუთრებული მეთოდების გამოგონება, რომ შესაძლებელი გამხდარიყო რამე დასკვნის მიღება მათი სიშორის მანძილის, მოძრაობის, სივრცეში განაწილების, აგებულობის, სიდიდის და სხვა ნიშანდობლივი თვისებების შესახებ.

ვარსკვლავების ასტრონომია მეცნიერებათ გადაიქცა სულ უკანასკნელ ხანებში. ამ მეცნიერებას საფუძველი ჩაუყარა ინგლისის დიდმა ასტრონომმა ვილიამ ჰერშელმა (დაიბადა 1738 წ., გარდაიცვალა 1822 წ.). მხოლოდ იმ უზარმაზარი ტელესკოპების საშუალებით, რომლებიც მან დაამზადა, გახდა შესაძლებელი ვარსკვლავების ზედმიწევნით შესწავლა. ჰერშელის გარდაცვალების შემდეგ გავიდა ასი წელი და ვარსკვლავების ასტრონომია ვრცელ მეცნიერებათ გადაიქცა. ეს მეცნიერება ამ უკანასკნელ ხანებში სწრაფი ნაბიჯით ვითარდება და გვიხსნის ჩვენ სამყაროს სხვადასხვა საიდუმლოებას.

განსაკუთრებით საინტერესოა ის შედეგები, რომლებიც მიიღეს ასტრონომებმა რიოსელმა და ედინგტონმა ვარსკვლავების აგებულობის, სიდიდისა და განვითარების შესახებ. ჩვენ მოგვყავს ცნობებს იმის შესახებ, თუ რას წარმოადგენენ ვარსკვლავები თანამედროვე მეცნიერების თვალსაზრისით, როგორია მათი სიდიდე, რამდენს იწონიან ისინი როგორ მდგომარეობაში არიან, ისინი (მაგარი, თხელი თუ გაზისებური), როგორია მათი ტემპერატურა, რა მანძილით არიან ისინი დაშორებული ჩვენგან, როგორია მათი სინათლის სიძლიერე, რა კლასებათ და ჯგუფებათ იყოფიან ისინი.

ამაზე შემდეგ.

ქრონიკა

— **8 მარტის დღესასწაული.** ა.-კ. შრომის სახ. კომისარიატის დადგენილებით—მშრომელ ქალთა საერთაშორისო დღესასწაულის დღეს, ყველა მუშა-ქალები განთავისუფლებული უნდა იქნენ სამუშაოდან ჩვეულებრივ დროზე 2 საათით ადრე.

— **გადასახადი ტელეგრამაზე.** წინადადება მიეცათ ყველა საფოსტო განყოფილებებს შემოიღონ ტელეგრამაზე შემდეგი ფასები: გადასახადი 20 სიტყვამდე ცხადდება მინიმუმი, ხოლო იმ ტელეგრამაზე, რომლის შინაარსი აღემატება 20 სიტყვას, უნდა გადახდეს იმდენი, რამდენიც პირველ 20 სიტყვაზე.

— **ტრამვაი.** ამ ჟამად ტფილისში ყველა მიმართულებით მუშაობს 35 მატორიანი და 16 მისაბმელი ვაგონი.

— **საბინაო საქმე.** ტფილისში მდებარე სახლების მდგომარეობის, საფონდო ბინების და საცხოვრებელ ნორმის გამოსარკვევათ შესდგა კომისია. კომისია აღრიცხავს როგორც ქალაქის, ისე კერძო საცხოვრებელ და არა საცხოვრებელ ბინებს. ქალაქის ალმასკომმა კომისიის მუშაობის ჩასატარებლათ გადასდო 900 საქონლის მანეთი.

— **ამანათების გადაგზავნა საფრანგეთში.** დაიწყო ამანათების პირდაპირი გადაგზავნა საფრანგეთში გერმანიის საშუალებით.

— **შინამრეწველობა საქართველოში.** შინამრეწველობის საქსოვ ქარხანამ იანვრის განმავლობაში დაამზადა 34 ფ. და 30 გირ. ნართი, ამავე ქარხანასთან არსებულმა სამხედრო სახელოსნომ დაიწყო შალების ღებვა ქიმიური ნივთიერებით.

— **მებაღეობა-მებოსტნეობა.** გაიხსნა მებაღეობა-მებოსტნეობის ტეხნიკური ბიურო მებაღეობისა და მებოსტნეობის მდგომარეობის გამოსარკვევად.

— **არტელი სოფლად.** სოფ. ვაჩნაძიანში (თელავის მაზრა) შესდგა სპეციალური არტელი ამერიკულ ვაზის სანერგეს მოსაწყობათ.

— **სრ. საკავშირო მევენახეთა ყრილობა.** 12 აპრილს მოსკოვში შესდგება სრ. საკავშირო მევენახე-მეღვინეთა ყრილობა. ყრილობას საქართველოდან დაესწრება 11 დელეგატი.

— **გოგირდი და შაბიამანი გლეხებისათვის.** სოც. უზრუნველყოფის კომისარიატმა შეიძინა გოგირდი და შაბიამანი, რომელიც გლეხებს დაურიგდებათ იაფ-ფასებში გლეხკომების საშუალებით.

— **შემნახველი კასა.** ამ დღეებში მოედანზე (შეითანბაზარში) გაიხსნება შემნახველი კასა.

— **შემნახველ-გამსესხებელი კასების სამმართველო** ა | კ. ფინანსთა კომისარიატთან ამ დღეებში დაიწყებს მუშაობას ახლად დაარსებული შემნახველ-გამსესხებელი კასების სამმართველო.

— **აბანოებით სარგებლობა.** 1923 წ. განმავლობაში ტფილისის კომუნალურ აბანოებით უსარგებლია 933,767 სულს, წინანდელ წელთან შედარებით უსარგებლია 802,560 მეტს.

— **შრომის ბირჟა.** 27 თებერვალს შრომის ბირჟის აღრიცხვაზე გამოცხადდა 301 უმუშევარი, ახლად ჩაეწერა—93, მოთხოვნილება იყო—71, სამუშაოზე გაიგზავნა—78.

რკინის გზებზე

— **სალი ორთქლმავლების რაოდენობა 1-ლ თებერვლისათვის.** ფართო ხაზის სალი ორთქლმავლების რაოდენობა უდრის ინვენტარის 45,9 პროც., ვიწრო ხაზის ორთქლმავლების რიცხვი კი შეადგენს ინვენტარის 79,9 პროც.

— **შესაკეთებელი ორთქლმავლების რაოდენობა თებერვალში.** საოპერაციო პარკში შესაკეთებლად სდგას ფართო ხაზის 86 ორთქლმავალი და ვიწრო ხაზის 9 ორთქლმავალი.

— **ორთქლმავლების საშუალო სიჩქარე დღე და ღამის განმავლობაში.** ორთქლმავლების საშუალო სიჩქარე დღე და ღამის განმავლობაში წარსული წლის დეკემბერში სამგზავრო მოძრაობაში უდრის 130,9 ვერსს, საბარგო მოძრაობაში—115,6 (გზათა სახალხო კომისარიატის ნორმაა—115 ვერ.).

— **ორთქლმავლების საერთო სიჩქარე დეკემბერში.** ორთქლმავლების საერთო სიჩქარე დეკემბერში უდრის 857059 ვერსს. ამ რაოდენობიდან სამგზავრო ორთქლმავლების სიჩქარე შეადგენს 258.460 ვერსს, საბარგო ორთქლმავლების კი—308.753 ვერ. ვერსების დანარჩენი რაოდენობა მოდის მანევრებზე.

შემთხვევები.

— ქურდობა. 26 თებერვალს შემახის ქ. № 12, დილის 11 საათზე, გაქურდული იქნა მოქ. მიხეილ გიორგის ძე ხერბაშოვი; ქურდი აღმოჩნდა მათთან მცხოვრები ქალი ლიუბა მედნოვა, რომელსაც ნაპარავი ნივთები გაეტანა ბაზარზე გასასყიდათ, სადაც იქნა შეპყრობილი.

— ძარცვა. 26 თებერვალს, საღამოს 8 საათზე ოთხი უცნობი შეიარაღებული პირი დაეცნენ მოქ. აკაკი ივანეს ძე სვანიშვილს (მცხოვ. კამოს ქ. № 67) და წაართვეს 1025 ჩერვონეცის ძვირფასი ნივთები, 10 სტერლინგი და იქვე გაძარცული იქნა იტალიის კონსული ლაგანია. მიღებულია ზომები ყაჩაღების შესაპყრობად.

— მკვლელის შეპყრობა. 26 თებერ. შეიპყრეს სოფ. გლდანში მოქ. ფენაეტე ღვინიაძის მკვლელი სოფ. ნორიოს მცხოვრები მიხეილ კურატაშვილი.

— სახელოსნოს გაქურდვა. 25 თებერვალს, დღის 3 საათზე, ერევნის მოედანი № 3. გაქურდეს მოქალაქე ჰაირაპეტ პეტროსიანცის ფეხსაცმელების სახელოსნო. წაღებულია შეკერილი ფეხსაცმელები და ტყავები, რომელთა ღირებულება გამოურკვეველია.

— ცეცხლი. 27 თებერვალს დღის 5 საათზე ბაზრის ქ. № 3 ცეცხლი გაუჩნდა მზვერავა და ბახტაძის ბინას, რომელიც ჩაქრობილი იქნა ცეცხლისმქრობელ რაზმის მიერ.

ხელოვნება

— **მომღერალის ა. მოსინის 25 წლის იუბილე.** დღეს სახელმწიფო ოპერის თეატრში გაიმართება ოპერის მსახიობის ა. გ. მოსინის იუბილე მისი სასცენო მოღვაწეობის 25 წლის შესრულების გამო. დაიდგმება ვერდის ოპერა „ოტელლო“, მონაწილეობას იღებენ: ბოკოვა, ერმოლინსკი, მოსინი, დეველეთი და სხვები.

— ლ[illegible] **პიესა „შხამი“ ქართულ ენაზე.** 29 ამა თებერვალს სანგანათლების თეატრში ვასო ბალანჩივაძის რეჟისორობით ქართულ ენაზე დაიდგმება [illegible]მოვის პიესა „შხამი“.

— **„სოლომონ მეჯღანუაშვილი“.** სახელ. გამომ. მიიღო გამოსაცემად ლავრენტი არდაზიანის რომანი: „სოლომონ ისაკიჩ მეჯღანუაშვილი“.

— **საბავშვო დილა.** დღეს სახ. საბავშვო თეატრში გაიმართება საბავშვო დილა.

— **ილია ჭავჭავაძის ნაწერები.** ილია ჭავჭავაძის რჩეული ნაწერები გამოვა სამ ტომად—კრიტიკული წერილებით და ავტორის ბიოგრაფიით.

— **სტალინის სახელობის მუშათა კლუბი.** სტალინის სახელობის მუშათა კლუბთან შესდგა მუშა-მოსამსახურეთა გუნდი.

— **მუსიკალური ნაწერების გამოცემა.** სამშაბათს, 26 თებერვალს, ხელოვანთა სასახლეში გაიმართა ქართველ კომპოზიტორთა და სამუსიკო მოღვაწეთა სხდომა,—სხდომამ იქონია მსჯელობა სამუსიკო გამომცემლობის შესახებ და დაადგინა, აირჩიოს კომისია დ. სულხანიშვილის და კ. ფოცხვერაშვილის შემადგენლობით მთავრობასთან მოსალაპარაკებლად სამუსიკო გამომცემლობის დაარსების შესახებ.

— **ახალი წიგნი.** პროლეტარულ მწერლის გოგიტო ციმბირელის ლექსთა პირველი წიგნი იბეჭდება და გამოვა მოკლე ხანში.

— **მარულა.** 2 მარტს, დიდუბეში გაიმართება დიდი მარულა. მარულაში თავიანთი ცხენებით მონაწილეობას მიიღებენ ცირკის მსახიობები ლეო ტანტი და კუკ.

დღეს თეატრებში.

ოპერა. მოსინის ბენეფისი—„ოტელლო“.

დრამა. სომხური წარმოდგენა.

სახ. სახლი. „უნიადაგონი“.

ცირკი. მრავალფეროვანი პროგრამა.

პროვინციაში

ჩოლაბურის ხიდის და შარა გზის შესახებ (შორაპნის მაზრა)

ყველას კარგად მოეხსენება, რომ ჯერ იმპერიალისტურმა ომმა და მერე-კი დიდმა რევოლიუციამ და სამოქალაქო ომებმა ძირიან-ფესვიანად შეარყია ჩვენი ხალხის ეკონომიური მდგომარეობა.

სახალხო მეურნეობა ყველა დარგში დაირღვა, მისი აღდგენა ათეულ წლებს მოითხოვს, მაგრამ ყველაზედ მწვავედ ნგრევის გავლენამ თავი იჩინა ისეთ მეურნეობაში, რომლის მოვლა-პატრონობას უწინ თვით სახელმწიფო კისრულობდა და რომლის განვითარებაში უშუალოდ თვით მასსა არავითარ ინიციატივას არ იჩენდა; ასეთი იყო სახელმწიფო გზების და ხიდების საქმე.

საქართველოს შარა-გზები და ხიდები დღეს ისეთს უმწეო მდგომარეობაში იმყოფებიან, რომ თუ ამ მოკლე ხანში თვით მუშურ-გლეხურმა მთავრობამ არ აიღო თავის თავზე საქმის გაკეთება, საქართველოში შარა-გზებით მიმოსვლა სრულიად შეუძლებელი გახდება და სხვადასხვა კუთხე ჩვენის მდიდარის ქვეყნისა მოსწყდება როგორც ერთმანეთს, ისე ცენტრს.

თუ მხედველობაში მივიღებთ იმ გარემოებას, რომ ამ უკანასკნელ 10—16 წლის განმავლობაში ამ გზების შეკეთება თითქმის სრულიად არ სწარმოებდა, მაშინ ადვილი წარმოსადგენია ის სურათი, რომელსაც წარმოადგენს დღეს საქართველოს შარა-გზები და ხიდები.

როგორც ვიცით, დღიდან საქართველოს გასაბჭოებისა მუშურ-გლეხურმა მთავრობამ უმთავრესი ყურადღება მიაქცია საბჭოთა აღმშენებლობას.

მან გადასჭრა მიწის საკითხი მშრომელი გლეხების სასარგებლოდ, მუშის მატერიალური მდგომარეობა საგრძნობლად გააუმჯობესა, ქვეყანა აღორძინების გზაზე დააყენა, დიდი მუშაობა ჩაატარა სასოფლო მეურნეობის განსავითარებლად: არხების გაყვანა, ჭაობების ამოშრობა, მდინარეების ნაპირების შემაგრება, აგროდახმარება; შენდება მრავალი ელექტრო-სადგურები; განსაკუთრებული ყურადღება აქვს მიქცეული ელექტროფიკაციას, განათლების დარგს, სხვა მრავალი რამ გაკეთდა და კეთდება საბჭოთა საქართველოში. მაგრამ ამ საერთო აღმშენებლობის დროსაც გზებსა და ხიდებს ნაკლები ყურადღება აქვს მიქცეული.

უწინაც და მით უმეტეს საქართველოს გასაბჭოების შემდეგ **შორაპნის მაზრა**—თავისი მდიდარი **მრეწველობისა** და მეურნეობის წყალობით თითქმის უპირველეს როლს თამაშობს მთელ საქართველოში. უპირველეს ყოვლისა შორაპნის მაზრაში არსებობს შავი ქვის მადანი, რომელიც ჩვენი რესპუბლიკის მრეწველობის უმთავრეს წყაროს წარმოადგენს. შორაპნის მაზრაში განვითარებულია მევენახეობა, მოდის სიმინდი, სწარმოებს მრავალი დარგის მეურნეობა. ამ მაზრაში თქვენ ნახავთ სხვადასხვა მინერალურ წყლებს, არის სხვადასხვა სამკურნალო აბანოები, არის ალაგი, სადაც პირი უჩანს ნავთს და არის მჟავე სამკურნალო წყლები და სხვა მრავალი;, ყველაფერს ამას უნდა დამუშავება რაც დიდ შემოსავალს მისცემს საბჭოთა ქვეყანას.

შორაპნის მაზრაში დიდ როლს თამაშობს ჩხარის რაიონი, რომელშიაც შედის მრავალი მჭიდროდ დასახლებული სოფლები, რომელთაც უკავია დაახლოვებით 50 ოთხკუთხი ვერსის სივრცე. ამ კუთხეებში დიდად განვითარებულია მეურნეობა: ხვნა-თესვა, მევენახეობა, მეღვინეობა, ხილის მოყვანა; აქ მოდის კარგად ხორბალი და სიმინდიც. და ყოველივე ეს პური, სიმინდი და სხვა მრავალი პირველ მოთხოვნილების საგნები განსაკუთრებულ ბაზარს პოულობს ქალ. ზესტაფონში, და ზესტაფონიდან კი ჭიათურაში. ზესტაფონში ჩასასვლელი გზა არ არის, მდინ. ჩოლაბურზე უხიდობის გამო. ამიტომაც ეს უბანი მთლად მოწყვეტილია ბაზარს და სამაზრო ცენტრს, რის გამოც მეტისმეტ გაჭირვებას განიცდის მშრომელი გლეხობა, რადგან ამ მაზრაში ეს ხიდი დიდ ეკონომიურ მნიშვნელობას წარმოადგენს მთელი მაზრისათვის და აკავშირებს გლეხობას ქალაქებთან. ჩოლაბურზე უხიდობა ართულებს „მაკრატლის“ პრობლემის გადაჭრას. სოფლებში გროვდება სხვადასხვა პირველ მოთხოვნილებათა სურსათი. გლეხს ვერ შემოაქვს ქალაქში და სამაგიეროდ არ შეუძლია იყიდოს საქონელი და თანდათანობით უფუჭდება და ფასი ეკარგება მის ნაწარმოებს.

ეს მოვლენა იწვევს შეუთანაბრობას მრეწველობისა და სოფლის მეურნეობის შორის.

სანამ კარგი დარები დგას, ტვირთ-ზიდვა გზისა და ხიდის გარეშე სწარმოებს, ისიც მხოლოდ და მხოლოდ ზურგით და აუწერელი ტანჯვა-წვალებით. მაგრამ საკმარისია ცუდი ამინდი, წვიმა, რომ მთელი რაიონი—მდ. ჩოლაბურის გაღმა მხარე მოსწყდეს მაზრის ცენტრს.

უხიდობის გამო უმთავრესი გზა—ტკეცილი ზემო და ქვემო იმერეთისა და მთელი მარჯვენა მხარე მდინარე ჩოლაბურისა მივიწყებულია, მოძრაობა ძლიერ შეფერხებულია და კულტურულ მნიშვნელოვანი გზა განადგურების გზაზე დამდგარა.

ზემოხსენებული მდგომარეობა მიიღო მხედველობაში შორაპნის მაზრის ალმასკომმა და გადასწყვიტა მდ. ჩოლაბურზე ხიდის გაკეთება, რომელიც აღნიშნულ რაიონს შეაერთებს ქ. ზესტაფონთან და მაზრის ცენტრთან—ჭიათურასთან.

ალმასკომმა შეადგინა ხიდის გეგმა, რომელიც უნდა გაკეთდეს განსაკუთრებით ქვის ბურჯებით და ხე-ტყის მასალით. ზოგიერთი ზომები შორაპნის სამაზრო ალმასკომის მიერ უკვე მიღებულია და ის ყოველივე საშუალებებს დაახმარს ამ ხიდის აგებისათვის, მხოლოდ მთლიანად ხიდის აგებას და მის დიდ ხარჯებს ალმასკომი ვერ იკისრებს და ვერც შესძლებს (რადგან სხვა უბნებიდანაც ბევრი რამ აქვს გასაკეთებელი). ამისათვის საჭიროა დახმარება ცენტრალური მთავრობისაგან.

ამიტომაც ვიმედოვნებთ, რომ ამ დიდ სახელმწიფოებრივ პოლიტიკურ-ეკონომიურ და კულტურულ მნიშვნელობის საქმეს ცენტრალური მთავრობა ჯეროვან ყურადღებას მიაქცევს და გაგვიწევს მნიშვნელოვან დახმარებას.

შორაპნის მაზრის ალმასკომის თავმჯდომარე **თათეიშვილი.**

ამინდი ამიერ-კავკასიაში

27 თებერვალი, დილის 7 საათი.

ტემპერატურა (ცელსიით): სოხუმი... 4 გრ., ფოთი... 6 გრ., ბათომი... 5 გრ., სამტრედია... 5 გრ., ქუთაისი...4 გრ., ტფილისი... 4 გრ., ბორჯომი... 0 გრ, სურამი... 1 გრ., მუკუზანი... 2 გრ. აჯამეთი... 5 გრ., ჰიათურა... 3 გრ., წიფა... 1 გრ., მუხრანი... 2 გრ., ბაქო... 3 გრ., ლენქორანი... 3 გრ., ერევანი... 2 გრ.

ღრუბლიანობა: ტფილისში—მეტად საგრძნობი, დანარჩენ ადგილებში სრული.

ქარის ქროლა: ტფილისი—ჩრდილოეთ დასავლეთის, ნელი. ბაქოში—ჩრდილოეთის ზომიერი; დანარჩენ ადგილებში ნელი, ან სულ არ ქრის.

ნალექი: სოხუმში, ფოთში, ბათომში, ქუთაისში წვიმა წინა დღით. მთელი დღე და დილის 7 საათზე. სამტრედიაში—წვიმა დღით, საღამოს, ღამით. ტფილისში წვიმა დილით, საღამოს. ბორჯომში—წვიმა დღით, საღამოს, თოვლი დილის 7 საათზე. სურამში—წვიმა საღამოს. მუკუზანში—წვიმა, დღით, ღამით. აჯამეთში—წვიმა დღით, ღამით. ჰიათურაში—წვიმა დღით. წიფაში—თოვლი ღამით, დილის 7 სა მუხრანში—წვიმა დილით, საღამოს, ღამით. ერევანში—დ და ღამით.

ზღვის მდგომარეობა ნაპირებ ფოთში,— ზომიერი, ბათომში,—ნ ბაქოში—ოდნავი ღელვა. ლენქო ში—ზომიერი ღელვა.

ამინდი საქართველოში: მოღ ლულია, არის ნალექი.

ჩრდილოეთ-კავკასია.

27 თებერვალი, დილის 7 სა

კაზბეგი. ტემპერატურა:— 6 მოღრუბლულია, ქარი არ ქრის. თოვნა დილის 7 საათი.

კიზლიარი. ტემპერატურა:—8 მოღრუბლულია, ქრის ჩრდილოეთ მოსავლეთის ნელი ქარი.

ტფილისი

28 თებერვალი, დღის 1 საათ

ტემპერატურა: 8 გრ., მოღრუბ ლია, ქრის ჩრდილოეთ-დასავლ ნელი ქარი.

მთავრობის მოქმედებანი და განკარგულებანი

დადგენილება № 8.

ამიერ-კავკასიის სოც. ფედ. საბჭ. რესპუბლიკის სახალხო კომისართა საბჭოსი.

1924 წლის თებერვლის 14.

კავკასიის წითელდროშიან არმიაში ეროვნული რესპუბლიკების ენათა ხმარების დებულების სამოქმედოდ შემოღების შესახებ.

ამიერ-კავკასიის ცენტრალურ აღმასრულებელი კომიტეტის მე-2 სესიის მიერ სახელმწიფო დაწესებულებათა ენისა და ეროვნულ უმცირესობათა უფლების უზრუნველყოფის შესახებ მიღებული დეკლარაციის ძირითადი პრინციპების განსახორციელებლად და ამიერ-კავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის მიერ 1923 წლის აგვისტოს 13-ს თარიღით გამოცემული დეკრეტის მე-5 მუხლის აღსრულებისათვის,—ამიერ-კავკასიის სოც. ფედ. საბჭ. რესპუბლიკის სახალხო კომისართა საბჭო ადგენს:

1. დამტკიცდეს და სამოქმედოდ შემოღებულ იქნეს დებულება კავკასიის წითელდროშიან არმიაში ეროვნული რესპუბლიკების ენათა ხმარების შესახებ.

2. ამა დადგენილების აღსასრულებლად კავკასიის წითელდროშიანი არმიის რევოლუციონურ სამხედრო საბჭოს დაეკისრება გამოსცეს დამატებითი ინსტრუქციები და ბრძანებანი.

ამიერ-კავკასიის სოც. ფედ. საბჭ. რესპუბლიკის სახალხო კომისართა საბჭოს თავმჯდომარე—მ. ორახელაშვილი.

ამიერ-კავკასიის სოც. ფედ. საბჭ. რესპუბლიკის სახალხო კომისართა საბჭოს საქმეთა მმართველი—ნ. ივანიშვილი.

ამიერ-კავკასიის სოც. ფედ. საბჭ. რესპუბლიკის სახალხო კომისართა საბჭოს მდივნის თან.—დროებ. აღმასრულებელი ს. ლეკიშვილი.

დებულება.

ეროვნული რესპუბლიკების ენათა ხმარების შესახებ კავკასიის წითელდროშიანი არმიის ნაწილებსა, დაწესებულებებსა და სამმართველოებში.

ა. არმიის სამმართველოები და დაწესებულებები.

1. მიმართავენ ამიერ-კავკასიის ფედერატიულ სახელმწიფო და საზოგადოებრივ დაწესებულებებს რუსულ ენაზე.

2. ამიერ-კავკასიის სოც. ფედ. საბჭ. რესპუბლიკის შედგენილობაში შემავალ ცალკე რესპუბლიკათა დაწესებულებებს და ორგანიზაციებს მიმართავენ რუსულ ენაზე, ხოლო პასუხს, შეკითხვას, მიმართვას და სხვა. მიიღებენ რუსულ ენაზე ან და სათანადო რესპუბლიკის სახელმწიფო ენაზე.

3. დივიზიების სამმართველოებს და შტაბებს მიმართავენ რუსულ ენაზე.

4. მიწერ-მოწერას სამმართველოებ შორის და აგრეთვე სამეურნეო, ტეხნიკურ და ფულად ანგარიშგებას აწარმოებენ რუსულ ენაზე.

5. ბრძანებებსა და განკარგულებებს, რომელიც შეეხება არა მარტო არმიის ნაწილებს, არამედ მოსახლეობასაც—გამოაქვეყნებენ ოთხ. ენაზე: რუსულზე, ქართულზე, სომხურზე და თურქულზე.

ბ. ნომრიანი დივიზიები, გარნიზონები და ნაწილები ამ დივიზიებისა.

1. რესპუბლიკათა დაწესებულებებს და ორგანიზაციებს მიმართავენ სათანადო რესპუბლიკის ენაზე.

2. ყველა ბრძანებას და განკარგულებას, რომელიც შეეხება არა მარტო ნაწილებს, არამედ გვერდით მდებარე ადგილების მოსახლეობასაც—გამოაქვეყნებენ: რუსულ ენაზე, რესპუბლიკანურ ენაზე და ამა თუ იმ ადგილის ან რაიონის ეროვნული უმცირესობის ენაზე.

გ. სამმართველოები და ნაწილები ნაციონალური დივიზიებისა და სამხედრო სკოლებისა.

1. რესპუბლიკათა დაწესებულებებს და ორგანიზაციებს მიმართავენ სათანადო რესპუბლიკის ენაზე.

2. ამიერ-კავკასიის დაწესებულებებს და ორგანიზაციებს მიმართავენ იმავე რაც ამა თუ იმ რესპუბლიკის ცენტრ რი აღმასრულებელი კომიტეტის მიერ წესებულია მთავრობის ყველა რესპუ კანური დაწესებულებისათვის.

3. ურთიერთ შორის მიმართვას მოებენ სათანადო რესპუბლიკის ენაზე.

4. კომანდობასა და ამა თუ იმ დივ და სკოლის წითელარმიელების და კ ტების სწავლებას აწარმოებენ სათა რესპუბლიკის სახელმწიფო ენაზე.

შენიშვნა. ცალკე რესპუბ ბის ნაციონალურ უმცირესობათა წ არმიელებისა და კურსანტების პოლიტ რი აღზრდა-სწავლება შეიძლება სწარ დეს მათ მშობლიურ ენაზე.

ურთიერთობრივი მიმართვა მ ლეობასთან.

1. კავკასიის წითელდროშიანი ყველა სამმართველო, დაწესებულებ ნაწილი ვალდებულია მიმართოს მ ლეობას ამა თუ იმ ადგილის ან რა ძირითად ენაზე.

2. ამიერ-კავკასიის სოც. ფედ. საბ რესპუბლიკის მოქალაქეთა შეკითხვებზე, ცხადებაზე, საჩივარზე და სხვა მიმართ ზე არმიის ყველა სამმართველო, დაწე ლება და ნაწილი ვალდებულია უპა იმ ენაზე, რომელზედაც შედგენილი მართვა.

— ამიერ-კავკასიის სოც. ფედ. საბჭ. პუბლიკის სახალხო კომისართა საბჭოს ჯდომარე—მ. ორახელაშვილი

— ამიერ-კავკასიის სოც. ფედ. საბჭ. პუბლიკის სახ. კომისართა საბჭოს სა მმართველი—ნ. ივანიშვილი

— ამიერ-კავკასიის სოც. ფედ. საბ რესპუბლიკის სახალხო კომისართა ჭოს მდივნის თანამდ. დროებ. აღმას ელი—ს. ლეკიშვილი.

პარტიული და საბჭოთა კალენდარ

პარტიული

— პარასკევს, 29 თებერვალს, დღის 4 საათზე დანიშნულია მუშათა ფაკულტ და სახელმწიფო უნივერსიტეტის კომუჯრედის კრება მუშფაკის შენობაში. დასწრება ლა წევრთა და კანდიდატთათვის სავალდებულოა.

კომუჯრედის მდივანი დ. თხილავა.

— **საქართველოს კომპარტიის ტფილისის ორგანიზაციის მე-3** კომი იტყობინება, რომ პარასკევს, 29 თებერვალს, საღამოს 5 ნახ. საათზე ავლაბრის შათა კლუბში, ერთიან პარტიულ დღის მაგივრათ, შესდგება მე-3 რაიონის ყველა წ ბის და კანდიდატების საერთო კრება.

დღის წესრიგი:

1) რაიკომის მდივნის მოხსნება რაიკომის მოღვაწეობის შესახებ. 2) რაიკომის დარჩევა.

მდივანი ვართაპეტიანი.

განცხადებები

ღრმად დამწუხრებულნი: მეუღლე მაშო, შვილები: იესე, რაჟდენ, მირიან, ელიზბარ, კატო, ოლინა, ელენიკა და პელო კალანდაძეებ რძლები ნინა, ნადია და დარიკო კალანდაძეები სიძეები ოლიფანტე კუკულავა, მოსე თავართქილაძე და გერმანე ჯიბლაძე, შვილის შვილები შამშე, მარცვალა და გაიოზ კალანდაძეები ამით აცხადებენ ძვირფას დაუვიწყარ საყვარელის გარდაცვალებას

ასალო ელიზბარის-ძე

კალანდაძისას

რომლის დაკრძალვის დღე დანიშნულია შაბათს 3 საათზე, პირველ მარტს სოფელ ხიდისთავში (გურია) 600—1—1

ვ. ი. ლენინის სახელობ. საოპერო თეატრი

დღეს, 29 თებერვალს,

ა. მოსინის 25 წლის საიუბილეო

ოტელლო

ნის. 919 ვ—1

ელექტრონის და სინათლის

სამკურნალო

საწოლებით რენტგენი დ'არსონვალი

მიხეილ გედევანიშვილის სახელობის

ნერვიულ და შინაგან ავადმყოფთათვის, რომელნიც ფიზიკურ მეთოდ ექიმობას საჭიროებენ

სამკურნალო სწარმოებს **ექ. სვიმონ უიფშიძის** ხელმ ნელობით. ტფილისი, ყორღანოვის ქ. № 20. 126—25—24

ექიმი

კ. გ. ვართანოვი

სიფილისი, კანისა და ვენერიული სნეულებანი. ავადმყოფებს ღ ლობს დილის 10—12 საათამდე და საღამოს 5—7 საათამდე.

მისამართი: სურამის ქ. № 9. ვაგზლის ქუჩის კუთხე, რკინის გ სამმართველოს მახლობლად. 499

დაიკარგა პასპორტი № 350 ამაიაკ ვანეციანის სახელზე. ჩა ლოს გაუქმებულად. 601—1—1

დაიკარგა პირადობის მოწმობა რკ. გზ. მთავარ სახელ. მი ლი 1923 წელს № 103 გიორგი ნატაძის სახელზე თვალოს გაუქმებულად. 602—1—1

„ზარია ვოსტოკას“ სტამბა, საშა წულუკიძის ქუჩა № 4.